ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველით ახალ წელიწადს მოგილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!.. რა მივულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვეხოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ?

ილია ჭავჭავაძე.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 9 (812) | პარასკევი, 14 იანვარი, 1994 წელი | ფასი 600 კუპონი

პირველი სვეტი

რუსეთის პრესა საქართველოს შესახებ

„კომსომოლსკაია პრავდა": „გამსახურდიასადმი ბევრი კითხვაა. თუმცა ზუსტად ცნობილია ერთი — ყოფილი პრეზიდენტი უკვე ცოცხალი აღარ არის" (ავტორი — სერგეი ჩერნიხი).

ავტორი ეხება გავრცელებულ ხმებს, ვერსიებს ზვიად გამსახურდიას ამასწინანდელი გარდაცვალების შესახებ, რაც ს. ჩერნიხის აზრით, გამოწვეულია იმით, რომ არ არის ოფიციალური ვერსია. მოხსენიებულია ე. შევარდნაძის განცხადება: „მისი არსი ის არის, რომ გამოთქმულია ერთგვარი სინანული იმის თაობაზე, რომ მისი მთავარი ოპონენტი ახლა არის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ფიზიკური ლეშიც". აღნიშნულია, რომ გამოსვლა „ყველას გარკვევით აგებინებს, რომ ოფიციალურ თბილისს ამასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს". ავტორის აზრით იმან, რომ თბილისში არ არის არავითარი ასპროცენტიანი ინფორმაცია, თავისი დადებითი როლი შეასრულა. „სენსაციის მუხრუჭებზე მიშვებამ" ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის გარკვევას. მოსახლეობის საკმაოდ მშვიდი რეაქცია იმის საფუძველს ბადებს, რომ ხალხის მრისხანება ამას არ მოჰყვება". იმოწმებს რა „ინფორმირებული, მაგრამ არაოფიციალური" წყაროების აზრს, რომ მომხდარი ჩინებულად დაგეგმილი ოპერაციის შედეგია, სერგეი ჩერნიხი წერს: გამსახურდიას მოკვლა არ სჭირდებოდა არც რუსეთს, არც ჩეჩნეთს და „არც თბილისის ხელმძღვანელობისათვის იყო საგანგებო აუცილებლობა".

• • •

„იზვესტია": „გამსახურდია დაკრძალულია ხოფელში, რომელსაც ზვიადისტები უწევენ კონტროლს". „ინტერფაქსის" სააგენტოს ინფორმაცია, იუწყებიან, რომ ზვიადისტები მოითხოვენ საერთაშორისო ექსპერტების ჩამოსვლას.

• • •

„ნოვაია ეჟედნევნაია გაზეტა": რუბრიკით „კვირის ფოტოსურათი" დაბეჭდილია სერგეი კვირინის მიერ ორი წლის წინათ „კოლხურ კოშკში" გადაღებული ფოტოსურათი.

• • •

„ტრუდი": „ექსპრეზიდენტმა „ბრძანა" დიდხანს იდავეთო" (ავტორები ვლადიმერ სარიშვილი, ალექსანდრე კოროლიოვი).

ამ მასალაში აგრეთვე ჩამოთვლილია ზ. გამსახურდიას სიკვდილის ვერსიები. სხვათა შორის მოყვანილია წარმომადგენლის პრესმდივნის ტ. გულიას საკმაოდ საინტერესო განცხადება, რომელსაც, თურმე სცოდნია, რომ 31 დეკემბერს ვ. ნოვოდვორსკაიას უსაუბრია გამსახურდიასთან და ამ უკანასკნელს უთქვამს, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, თავს არასოდეს არ მოვიკლავო...

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს პრესსამსახური.

ამ დღეებში

ვესტუმრებიან „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

[illegible] [illegible] კინოთეატრი

ედუარდ შევარდნაძე:

ვიზიტი დიდად წარმატებული და შედეგიანი იყო

საქართველოს დელეგაცია თურქეთიდან თბილისს დაბრუნდა

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის მიწვევით 12 იანვარს თურქეთში ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა საქართველოს დელეგაცია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით. უკვე ვიტყობინებოდით, რომ ანკარაში ჩაფრენისთანავე დელეგაციის წევრები ვიზიტის პროგრამის შესაბამისად ეწვივნენ ათათურქის მავზოლეუმს. სახელმწიფოს მეთაურმა ყვავილების გვირგვინით შეამკო ათათურქის საფლავი. შუადღით თურქეთის პრეზიდენტის რეზიდენციაში ბატონი ედუარდ შევარდნაძე და ბატონი სულეიმან დემირელი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს. შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური შეხვდა თურქეთის პრემიერ-მინისტრს ქალბატონ ჩილერს.

გუშინ დილით ბატონი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარეს ჯინდორუქს. შეხვედრისას ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას თურქეთის დიდ ეროვნულ კრებასა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს შორის თანამშრომლობის თაობაზე.

ამის შემდეგ გაიმართა ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და ბატონ სულეიმან დემირელის შეხვედრა, რომლის დროსაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებათა სრულ პაკეტს.

შემდგომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა თურქ ბიზნესმენებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ თურქეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

ადგილობრივი და უცხოელი კორესპონდენტებისთვის მოწყობილ პრესკონფერენციაზე, რომელიც ამის შემდეგ გაიმართა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ისაუბრა თურქეთში ვიზიტის დიდ მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ ეს არის ორი მეზობელი ქვეყნის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლითაც ყალიბდება ახალი ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთს შორის.

საქართველოს დელეგაცია თავისი რეზიდენციიდან გამოაცილა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა.

ჩვენი რესპუბლიკის დელეგაცია გუშინ საღამოს დაბრუნდა თბილისს.

დედაქალაქის აეროპორტში ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ამ ვიზიტს დიდად წარმატებული და შედეგიანი უწოდა. მიღწეულ შეთანხმებათაგან მან გამოყო ეკონომიკური თანამშრომლობის ბლოკი და აღნიშნა, რომ თურქეთთან ურთიერთობა დიდ პერსპექტივებს სახავს, რომლის სასიკეთო შედეგებსაც, თუ ჩვენს ქვეყანაში სტაბილიზაციას მივაღწევთ, უახლოეს მომავალში ვიგრძნობთ. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს გამოინახა საქართველოსთვის ახალი დამატებითი კრედიტის გამოყოფის შესაძლებლობა.

ვიზიტის შესახებ ვრცელ მასალას [illegible] ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის გარემოს მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების, შეფასებისა და პროგნოზისთვის შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის გარემოს მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემა.

საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიური მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნა საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს საქართველოში ეკოლოგიური მდგომარეობის მართვა და მისი ოპერატიული კონტროლი. მის წარმატებით განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული მეურნეობის სხვა პრობლემების გადაწყვეტისთვის.

გარემოს დაცვის სამინისტროს დაევალა რესპუბლიკის გარემოს მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის ორგანიზება და რესპუბლიკაში მისი რეალიზაციის პროგრამის დამუშავება.

მონიტორინგის ცალკეული სისტემების განხორციელება დაევალათ რესპუბლიკის მეცნიერებათა და სოფლის მეურნეობის აკადემიებს, რიგ სამინისტროებს, დეპარტამენტებსა და უწყებებს.

გარემოს დაცვის სამინისტრომ მეცნიერებათა აკადემიასთან, დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში ორი თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს წინადადებები გარემოს დაცვის სამინისტროში უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ, რომელიც შეიმუშავებს რესპუბლიკის გარემოს მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნის პროგრამას.

გარემოს დაცვის სამინისტრომ 1994 წლის იანვრის დამლევამდე „საქმთავარჰიდრომეტის" გარემოს მონიტორინგის რესპუბლიკური ცენტრის რადიაციული კონტროლის ჯგუფის ბაზაზე უნდა შექმნას რესპუბლიკაში რადიაციული უსაფრთხოების კონტროლის სამსახური.

ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის მთავარ სამმართველოში შეიქმნება გარემოს მონიტორინგის ერთიანი საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემა, რომელიც გააერთიანებს მონიტორინგული მონაცემების საუწყებო ბანკებს ერთიანი მეთოდოლოგიის საფუძველზე და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აქტუალური ინტერვიუ

საქართველო — ევროგაერთიანების ყურადღების ცენტრში

ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპაში — ბელგიასა და ევროგაერთიანებასთან გაიხსნა საქართველოს საელჩო. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს რესპუბლიკის ელჩს, ნატოში დიპლომატიურ წარმომადგენელს ზურაბ აბაშიძეს პასუხი რამდენიმე კითხვაზე.

— როგორ შეაჯამებდით წლის დამლევს თქვენი მისიის — დასავლეთ ევროპაში პირველი საელჩოს — საქმიანობას?

— ოფიციალურად ჩვენი საელჩოს საქმიანობა ბრიუსელში შარშანდელი ივნისიდან დაიწყო. თავისთავად საელჩოს დაარსება ბევრ ტექნიკურ და საორგანიზაციო სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამ სირთულეების დაძლევა სწრაფად მოგვიხდა, რადგან 21-22 ივნისს ბატონი ე. შევარდნაძე ოფიციალურ ვიზიტად ეწვია ბრიუსელს, შეხვდა და მოლაპარაკება გამართა ნატოსა და ბელგიის ხელმძღვანელობასთან. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რას ნიშნავს ასეთი დონის ვიზიტის მომზადება, რომელიც რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ასეთ „მაჟორულ ტონალობაში" საქმიანობის დაწყებამ ბევრის საშუალება მოგვცა. უპირველეს ყოვლისა, მივაღწიეთ იმას, რომ საქართველოსა და, კერძოდ, აფხაზეთის პრობლემა სისტემატური განხილვის საგნად იქცა ნატოში, სხვადასხვა დონის შეხვედრებზე მივაღწიეთ ჩვენი პოზიციის დაცვას და დაფიქსირებას სხვადასხვა საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტებშიც, კერძოდ, ნატოსა და ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ცნობილ განცხადებაში, ასევე ევროპარლამენტის ნოემბრის რეზოლუციაში. ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ამ დოკუმენტებს ძალა არა აქვთ. ამას მომავალი გვიჩვენებს.

მიმდინარე მოვლენების შესახებ ჩვენი საელჩო სისტემატურად აწვდიდა მასალებსა და ინფორმაციებს ნატოს შესაბამის სამსახურებს, ასევე ევროკომისიას, ევროპარლამენტს, ევროპის საბჭოსა და დიპლომატიურ კორპუსს. ამ მასალებზე დაყრდნობით გამოქვეყნდა არაერთი ინფორმაცია პრესაში.

— შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილ საერთაშორისო ორგანიზაციებს დღეს უფრო სრული და ობიექტური წარმოდგენა აქვთ საქართველოს შესახებ?

— ამ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით ნატოს, ინფორმაციის მრავალი წყარო აქვთ. მთავარია, ბელგიაში, ისევე როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, საქართველოს საელჩოების გახსნა საშუალებას გვაძლევს აქტიურად და სრულად ჩავებათ ყოველდღიურ საერთაშორისო ცხოვრებაში, რაც თანამედროვე სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რაოდენ სერიოზულად ვიქნებით წარმოდგენილი საერთაშორისო სარბიელზე. ჩვენი უცხოელი კოლეგების აზრი თუ გაინტერესებთ, დასაწყისი ცუდი არ არის.

ინფორმაციისთვის მოგახსენებთ, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ბრიუსელში დიპლომატიური მისიები დაარსებული აქვთ რუსეთს, უკრაინას, ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ყირგიზეთს, სომხეთს და მოლდავეთს.

— რას უნდა ველოდეთ მომავალში ნატოსთან ურთიერთობისაგან?

— ნატოთი ჩვენი დაინტერესება გასაგები და ბუნებრივია. უნდა ითქვას, რომ ეს დაინტერესება ორმხრივია. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბოლო წლებში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობეს ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ დოქტრინაში სერიოზული ცვლილებების შეტანა. თუ „ცივი ომის" პერიოდში ამ დოქტრინის მთავარი თეზისი იყო საბჭოთა საფრთხისგან დასავლეთის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფა, ამჟამად ნატოს ნიშანსვეტად ისახება აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით კი რუსეთის ჩაბმა ერთობლივ პოლიტიკურ პროცესებში, ცხადია, დასავლეთის სტრატეგიული ინტერესების უპირატესობით. ამასთანავე, ნატო დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს რუსეთში მიმდინარე პროცესებს და თავის თავდაცვისუნარიანობას ინარჩუნებს. ნატოს ყველაზე გაბედულ ნაბიჯად აღმოსავლეთისაკენ თვლიან 1994 წელს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს „ნაქსის" დაარსებას. მასში ნატოს 16 წევრის გარდა, შევიდნენ აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები. „ნაქსი" საწყის ეტაპზე შეიქმნა, როგორც პოლიტიკური საკონსულტაციო ორგანო, რომელსაც უფრო „აღმზრდელობითი" მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე პრაქტიკული. ამავე დროს შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, ელჩებისა და ექსპერტთა სამუშაო თათბირები, ასევე მრავალრიცხოვანი სემინარები და კონსულტაციები, მიზნად ისახავდნენ პოზიციების დაახლოებასა და თანამშრომლობას საგარეო პოლიტიკასა და თავდაცვის სფეროებში. ბოლო ხანს აშკარად გამოიკვეთა, რომ დასავლეთი, კერძოდ, ნატო გაცილებით მეტ პერსპექტივას ხედავს ამ საბჭოში, ვიდრე ერთი წლის წინათ. პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მიხედვით, „ნაქსი" მომავალში შეიძლება გადაიქცეს დასავლეთ-აღმოსავლეთის სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაციის მთავარ მექანიზმად. უკვე ლაპარაკია „ნაქსისთვის" გარკვეული ოპერატიული ფუნქციების, კერძოდ, „სამშვიდობო ოპერაციების" განხორციელების უფლების მინიჭებაზეც.

ვფიქრობ, ჩვენში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გაცნობიერებული საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობა „ნაქსის" საქმიანობაში, რაც დასავლეთის თავდაცვის სტრუქტურებთან ჩვენი დაახლოების პირველი ნაბიჯია. ამ თვალსაზრისით, მეტად პერსპექტიულად მეჩვენება მიმდინარე წელიწადი.

საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე დამტკიცდა საბჭოს 1994 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც სხვა მრავალ ღონისძიებასთან ერთად ითვალისწინებს ერთობლივი სამხედრო ვარჯიშების მოწყობასაც, რაც განსაკუთრებით სასარგებლო უნდა იყოს ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ჩვენი ჯარისთვის. მაისიდან დაიწყება ჩვენი სამხედრო სპეციალისტების მომზადება ნატოს სასწავლო ცენტრებში. დასავლეთში და, კერძოდ, ნატოში ახლა ფართოდ განიხილავენ ამერიკის ახალ ინიციატივას „მშვიდობის დაცვის საქმეში პარტნიორობის შესახებ", რომელიც ითვალისწინებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან ნატოს ურთიერთობის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანას. კონკრეტულად თუ რას გულისხმობს ეს პარტნიორობა, ცნობილი გახდება ნატოს წევრ სახელმწიფოთა ხელმძღვანელების შეხვედრის შემდეგ.

— შესაძლებელია თუ არა ნატოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში სტაბილურობის მისაღწევად?

— ამგვარი ქმედება შესაძლებელია მხოლოდ გაეროს ეგიდით და მოითხოვს ჯერ ნატოს წევრ სახელმწიფოთა ერთობლივ გადაწყვეტილებას. შეგახსენებთ, რომ ამ „აგრესიულ ბლოკს" ჯერ არცერთ სამხედრო კონფლიქტში არ მიუღია მონაწილეობა. თვით ევროპის ცენტრშიც კი — ყოფილ იუგოსლავიაში — გაეროს ძალები მხოლოდ ჰუმანური დახმარების ფუნქციებს ასრულებენ. განსაკუთრებული სიფრთხილით გამოირჩევა ნატოს დამოკიდებულება ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან, რადგან აქ მიაჩნიათ, რომ ნაჩქარევმა დაახლოებამ შეიძლება ნატოს გარემოში შეიტანოს აღმოსავლეთისთვის ამ ეტაპზე დამახასიათებელი კონფლიქტური ელემენტები და მოვლენები, ასე ვთქვათ „გადასდოს ნატოს ჩვენი ინფექციები". დასავლეთში არსებული აზრით, ნატოს ჩარევა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების საქმეებში, ასევე გააძლიერებდა ანტიდასავლურ და რევანშისტულ განწყობილებებს რუსეთში, რომელიც ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებს ამ ორგანიზაციას, მხედველობაში მისაღებია ასევე ყოფილ იუგოსლავიასა და სომალიში გაეროს სამხედრო ძალების მოქმედების გამოცდილება, რასაც ფაქტობრივად დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. ასე რომ, თვითონ განსაჯეთ.

— რა პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა 1990 წელს ევროგაერთიანებასთან ჩვენი ურთიერთობის გასაფართოებლად?

— უპირველესად ყოვლისა, აღვნიშნავ ევროგაერთიანების პრაქტიკულ დახმარებას. 1993 წელს დასავლეთ ევროპის 12 წამყვანი სახელმწიფოს ამ გაერთიანებამ კვლავ გამოგვიყო მიზნობრივი კრედიტი 40 მილიონი ეკიუ, რომლითაც უახლოეს მომავალში საქართველოსთვის შეიძენენ ხორბალს, მარგარინს, შაქარს, მედიკამენტებს (ამ სესხის გამო კრედიტორები არ „დაგვახრჩობენ"). ჰუმანური დახმარების, ანუ საჩუქრის სახით გამოგვეყო 6 მილიონი ეკიუს მაზუთი, რომელიც იანვარში შემოვა საქართველოში და ხელს შეუწყობს ენერგეტიკული კრიზისის შემსუბუქებას. დამატებით გამოიყო 3 მილიონი ეკიუ აფხაზეთიდან ლტოლვილების დასახმარებლად. ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ქსოვილით ვაჭრობის დარგში, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი პროდუქცია ევროპის ბაზარზე შევიტანოთ შეუზღუდავად, ფაქტობრივად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ასეთი სახის ხელშეკრულებას აქ უფრო დიდ საჩუქრად თვლიან, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილ მილიონებს.

დამთავრდა მუშაობა 1994 წელს ევროგაერთიანების მიერ საქართველოსათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენის პროგრამაზე „ტასისი" სახელწოდებით, რომელიც გულისხმობს „ნოუ ჰაუს" გადმოცემასა და კონკრეტული პროგრამების შემუშავებას, კერძოდ, ისეთ პრიორიტეტულ სფეროში, როგორიც არის პრივატიზაცია, სოფლის მეურნეობა, სპეციალისტების მომზადება. ამ პროგრამის შესათანხმებლად დეკემბრის შუა რიცხვებში თბილისში იმყოფებოდა ევროკომისიის ავტორიტეტული დელეგაცია.

გასათვალისწინებელია, რომ დასავლეთი, რაოდენ პირობითადაც არ უნდა ჟღერდეს ეს ჩვენთვის, ამჟამად განიცდის ურთულეს ეკონომიკურ კრიზისს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. და მაინც, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან შედარებით, საქართველო, ბოლო წლინახევრის მანძილზე ნამდვილად ისარგებლებს ევროგაერთიანების განსაკუთრებული მზრუნველობით.

— თქვენ უმთავრესად დასავლეთის დახმარებაზე საუბრობთ, რა კეთდება იმისათვის, რომ დახმარება თანდათანობით გადაიზარდოს ორმხრივ და ურთიერთსახარგებლო თანამშრომლობაში?

— თანამშრომლობის მიმართულებები თანდათანობით იკვეთება. მოგახსენებთ, რომ უკვე მუშაობენ მასშტაბიან პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს ევროპა-კავკასია-აზიის თანამედროვე სატრანსპორტო მაგისტრალის შექმნას. ბუნებრივია, ჩვენ უაღრესად დაინტერესებული ვართ, რათა საქართველო ჩაებას ამ პროექტში. გასული წლის მაისში, ბრიუსელში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე უკვე გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი პროექტის განსახორციელებლად და ჩვენი ინტერესების დასაცავად. ახლა ვმუშაობთ, რომ შემდგომი საერთაშორისო შეხვედრა თბილისში მოეწყოს. არ მინდა მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ თუ საბოლოო მიზანს მივაღწევთ, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს წინაშე ახალი ფუნქციითა და მნიშვნელობით წარსდგება.

მაისიდან დაიწყება ასევე მუშაობა დიდ ხელშეკრულებაზე ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის პარტნიორული ურთიერთობის შესახებ. ამ პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის ხელშეკრულების გაფორმებას ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება ევროპულ სტრუქტურებთან ჩვენი ქვეყნის დაახლოებისა და შემდგომი ინტეგრირებისთვის.

დიდია დაინტერესება საქართველოსადმი დასავლეთის საქმიან წრეებშიც. დარწმუნებული ვარ, მშვიდობის დამყარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის შემდეგ, რაც 1994 წელმა უნდა მოგვიტანოს, ჩვენი ქვეყანა აქტიურად დაადგება აღმშენებლობის გზას.

ნომერში

- ალადინის ლამპა თუ დიოგენის ფარანი? — 3
- მთელი სიცოცხლე — ქართული თეატრის სამსახურში. — 4

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელსაც რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია მეთაურობს, 12 იანვარს კიევში დაიწყო უკრაინის მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების ბოლო რაუნდი ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ მთავრობათშორისი ხელშეკრულების დასადებად.

13 იანვარს უკრაინის მინისტრთა კაბინეტის სხდომათა დარბაზში ორი ქვეყნის დელეგაციათა წევრების თანდასწრებით ბატონებმა ოთარ ფაცაციამ და უკრაინის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ეფიმ ზვიაგილსკიმ ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას.

საქართველოს მთავრობის დელეგაცია გუშინ თბილისს დაბრუნდა.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის მასალას მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ.

არმაზ სანებლიძე,
„სრ" სპეც. კორ. კიევი (ტელეფონით).

განიხილავენ შემაჯამებელი დოკუმენტის პროექტს

ჟენევა. 18 იანვარი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). არ გამართლდა იმის იმედი, რომ სწრაფად დამთავრდებოდა ქართველთა და აფხაზთა ჟენევის მოლაპარაკების მეორე რაუნდი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ედუარდ ბრუნერი, რომელიც შეხვედრას თავმჯდომარეობს, იძულებული გახდა გაეუქმებინა დღეს დაგეგმილი პრესკონფერენცია, რადგან დისკუსია გაჭიანურდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით რუსეთის ხელშეწყობით გამართულ კონსულტაციებში მონაწილეობს რუსეთის დელეგაცია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბორის პასტუხოვის მეთაურობით. ბრუნერსაც და პასტუხოვსაც, რომლებიც შეთანხმებულად მუშაობენ, წილად ხვდათ მოლაპარაკებაზე შუამავლის რთული როლი.

როგორც იტარ-საკდესის კორესპონდენტმა შეხვედრის მონაწილეებთან დაახლოებული წრეებიდან შეიტყო, ქართველთა და აფხაზთა დელეგაციებმა შეიტანეს მთელი რიგი წინადადებანი და დაზუსტებანი ძირითადი დოკუმენტის პროექტის გამო, რომელშიც უნდა აისახოს ვითარების მოწესრიგების საკვანძო პრობლემები. კერძოდ, სამშვიდობო ძალების განლაგების საკითხი. ნავარაუდევია აგრეთვე შეიმუშაონ სპეციალური შეთანხმება ხიზანთა შესახებ. ერთ-ერთი ვარიანტია უზრუნველყონ იმის პირობები, რომ თავდაპირველად დაბრუნდნენ მხოლოდ აფხაზეთის ერთ-ერთ რაიონში (მოლაპარაკების მონაწილენი ასახელებენ გალის რაიონს). ამ ამოცანის გადაწყვეტაში მონაწილეობა უნდა მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უზენაესი კომისრის სამმართველოს სპეციალისტებმა.

დელეგაციათა წევრებმა იტარ-საკდესის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნეს, რომ კონსტრუქციული და საქმიანი ხასიათისაა დისკუსიები. ამავე დროს, პოზიციათა შეთანხმება მიმდინარეობს ძნელად. ითვალისწინებენ ისეთი პრინციპული საკითხის გადაუწყვეტელობას, როგორიცაა აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსი. როგორც ყველაფრიდან ჩანს, ეს პრობლემა ახლანდელი რაუნდის დროს ვერ გადაიჭრება, მასზე იმუშავებენ მხარეთა ექსპერტები, რომლებიც, ერთ-ერთი წინადადების თანახმად, უნდა შეიკრიბონ მოსკოვში 8 თებერვალს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

დ. ჭუმბურიძის მედლით „მხედრული მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

შეიარაღებული ბანდის მოგერიებისას გამოჩენილი პირადი მამაცობისათვის, ვაჟკაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის დავით ჭუმბურიძე დაჯილდოვდეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის" (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

თელავის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის შესახებ

დაინიშნოს დავით სავანელი თელავის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

გათავისუფლდეს მერაბ ხიდეშელი თელავის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ე. შევარდნაძე.

• • •

დავით სავანელი დაიბადა 1941 წლის 18 ივნისს, წინანდალში.

1965 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

1991 წლიდან დღემდე იყო სრულიად საქართველოს საზოგადოება „კახეთის" ვიცე-პრეზიდენტი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

ავსტრიისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებში საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის დაარსების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკასა და ავსტრიის და სლოვაკეთის რესპუბლიკებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებისა და ამ ურთიერთობების სისტემატიზაციის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობა ავსტრიისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებში (ქ. ვენა) და ამ წარმომადგენლობის განყოფილება სლოვაკეთში (ქ. ბრატისლავა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 1 იანვრიდან;

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს თავისი დადგენილებების „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

3. კანონით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთები და გამოანგარიშების წესი გავრცელდეს ფიზიკურ პირთა მიერ 1994 წლის 1 იანვრის შემდეგ გაწეული ნებისმიერი სახის საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე.

4. ფიზიკურ პირთა მიერ 1994 წლის 1 იანვრამდე შესრულებული სამუშაოების, მომსახურების და სხვა საქმიანობისათვის მიღებული გასამრჯელო, აგრეთვე 1993 წლის წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით პრემიები და სხვა განაცემები, რომლებიც გაიცემა 1994 წლის 1 იანვრის შემდეგ, საშემოსავლო გადასახადით დაიბეგროს 1994 წლის 1 იანვრამდე მოქმედი წესითა და ოდენობით, 1994 წლის შემოსავლიდან განცალკევებით.

5. „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ კანონი გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. გადასახადის გადამხდელები

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, როგორც მქონე, ისე არმქონე ფიზიკური პირები.

დაბეგვრის მიზნით საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონეთ მიეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკაში იმყოფებიან წელიწადში სულ ცოტა 183 დღეს.

მუხლი 2. დაბეგვრის ობიექტი.

ფიზიკური პირებისათვის დაბეგვრის ობიექტია კალენდარული წლის განმავლობაში როგორც ფულადი (ეროვნული ან საზღვარგარეთული ვალუტით), ისე ნატურალური ფორმით მიღებული ერთობლივი შემოსავალი.

საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე ფიზიკური პირებისათვის დაბეგვრის ობიექტია შემოსავალი, რომელიც მიღებულია როგორც საქართველოს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროებიდან.

საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე ფიზიკური პირებისათვის დაბეგვრის ობიექტია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკაში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლები.

ნატურალური ფორმით მიღებული შემოსავალი წლიური ერთობლივი შემოსავლის შემადგენლობაში აღირიცხება სახელმწიფო რეგულირებადი ფასებით, ხოლო მათი არარსებობისას — თავისუფალი (საბაზრო) ფასებით.

ფიზიკურ პირთა მიერ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოდან, მათ შორის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებიდან მიღებული შემოსავლის მთლიანი თანხა დაბეგვრის მიზნით მცირდება ამ შემოსავლის მიღებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯების თანხით.

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის, გამოცემის, შესრულების ან სხვაგვარი გამოყენებისათვის საავტორო ხელშეკრულების არსებობისას ამ ხელშეკრულების მიხედვით, საბოლოო ანგარიშსწორებისას გაცემული გასამრჯელო დაბეგვრის მიზნით იყოფა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წელთა რიცხვზე. თუ ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს, საავტორო გასამრჯელოს თანხა, რომელიც მიღებულია რამდენიმე წლის მუშაობისათვის და აღემატება 10000000 კუპონს, ნაწილდება სამ წელზე და იბეგრება წლიური ერთობლივი შემოსავლის შემადგენლობაში გადასახადის ადრე გადახდილი თანხების გათვალისწინებით. ანალოგიური წესი გამოიყენება იმ გასამრჯელო თანხების მიმართ, რასაც აღმოჩენების, გამოგონებების და სამრეწველო ნიმუშების ავტორები იღებენ მათი გამოყენების პირველი წლის განმავლობაში.

უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავალი გადაიანგარიშება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ ფულად ერთეულში, შემოსავლის მიღების თარიღისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში გადასახადის გადახდა გადამხდელის სურვილისამებრ ხდება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი ფულის ერთეულით ან უცხოური ვალუტით.

მუხლი 3. დაუბეგრავი შემოსავალი.

1. ფიზიკური პირების მიერ მიღებული ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის შემადგენლობაში არ შეიტანება:

ა) სახელმწიფო სოციალური დაზღვევის და სოციალური უზრუნველყოფის ხაზით დახმარება, გარდა დროებითი შრომისუუნარობის (მათ შორის ავადმყოფი ბავშვის მოვლის) დახმარებისა, აგრეთვე დახმარება და ფულადი და ნატურალური ფორმით შემწეობის სხვა სახეობანი, რომლებსაც ფიზიკურ პირებს უწევენ საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილი წესით რეგისტრირებული საქველმოქმედო და ეკოლოგიური ფონდების სახსრებიდან;

სახელმწიფო დახმარებებს, რომლებიც არ შეიტანება ერთობლივ შემოსავალში, მიეკუთვნება შემდეგი დახმარებანი:

ორსულობისა და მშობიარობის გამო;

ბავშვის დაბადებისას გაცემული;

ბავშვის მოსავლელად (მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ასაკის მიღწევამდე);

დაკრძალვისათვის და დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯებისათვის;

ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისათვის;

ბავშვობიდან ინვალიდებისათვის;

ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა ბავშვებისათვის;

მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის;

ქვრივებისათვის, რომლებსაც ჰყავთ ბავშვები, მაგრამ არ ღებულობენ პენსიას მარჩენალის დაკარგვის გამო;

მცირეწლოვანი ბავშვებისათვის, რომელთა მშობლები იძებნებიან ალიმენტის გადაუხდელობის გამო — ძებნის პერიოდში;

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სხვა დახმარებები.

ბ) ყველა სახის პენსიები, რომლებიც დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის საპენსიო კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე პენსიის ნებაყოფლობითი დაზღვევის პირობებით გაცემული დამატებითი პენსიები;

გ) თანხები, მიღებული დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარ დაზიანებასთან დაკავშირებით შრომისუნარიანობის დაკარგვისას ზიანის ანაზღაურებლად, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვასთან დაკავშირებით;

დ) ფულადი და ნატურალური ფორმით ყველა სახის საკომპენსაციო გაცემები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით, გარდა სამუშაოდან დათხოვნისას გამოუყენებელი შვებულების გამო კომპენსაციისა.

ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ მუშაკთა მოკლევადიანი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისას გადასახადით დასაბეგრ შემოსავალში არ შეიტანება კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში, სადღეღამისო, აგრეთვე დანიშნულების ადგილამდე და უკან მგზავრობისას ფაქტობრივად გაწეული მიზნობრივი ხარჯები, აეროპორტის მომსახურების მოსაკრებლები, სადაზღვევო და საკომისიო მოსაკრებლები, აეროდრომზე ან ვაგზალზე მისვლის (ტაქსით მგზავრობის გარდა), ბარგის გადატანის, საცხოვრებელი ფართის დაქირავების, საზღვარგარეთული პასპორტისა და ვიზების, საზღვარგარეთ პასპორტში ჩაწერის, ასევე ბანკში ჩეკების საზღვარგარეთის ნაღდ ვალუტაზე გადაცვლის ხარჯები;

ე) მუშაკის სამუშაოდან დათხოვნასთან დაკავშირებით გაცემული გამოსასვლელი დახმარება, აგრეთვე საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მუშაკთა დათხოვნისას შრომის კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ყველა სახის კომპენსაცია;

ვ) დახმარება უმუშევრობისათვის დახმარების მიღების თითოეულ თვეში კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ოდენობით;

ზ) დახმარების თანხა მისი ოდენობის მიუხედავად, მიღებული სტიქიური უბედურების, სხვა საგანგებო ვითარების გამო, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი დახმარება გაიცემა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე, პროფესიული კავშირების, სოციალური დაზღვევის ფონდის, ასევე უცხოეთის სახელმწიფოების მიერ; სხვა შემთხვევებში გაწეული მატერიალური დახმარების თანხები წელიწადში არაუმეტეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ათმაგი ოდენობისა, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული მატერიალური დახმარების გარდა.

მთავრობების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, ორგანიზაციებისა და უცხოეთის სახელმწიფოების მიერ გაწეულ მატერიალურ დახმარებად ითვლება ისეთი დახმარება, რომელიც ეძ[illegible] კონკრეტული კატეგორიის [illegible] პირთ ან ჯგუფს, [illegible]ულ პირობებში და განსაზ[illegible] ოდენობით;

[illegible] ყოფილი სსრკ და საქართ[illegible]კის სახელმწიფო სესხის ობლიგაციების მოგების და ასეთი ობლიგაციების განაღდების თანხები;

ი) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ განსაზღვრული წესით მოწყობილი ლატარიის გათამაშებით მიღებული მოგებანი;

კ) საქართველოს რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებებში ანაბრებისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების მიხედვით პროცენტი და მოგება;

ლ) თანხა, რომელსაც მოქალაქეები იღებენ სისხლის ჩაბარების, სხვადასხვა დონორობის, აგრეთვე თანხა, რომელსაც სამედიცინო დაწესებულებათა მუშაკები იღებენ სისხლის შეგროვებისათვის;

მ) ფიზიკურ პირთა მიერ მიღებული ალიმენტები;

ნ) უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დღის სწავლების მოსწავლეების, სასულიერო სასწავლებლების მსმენელების, ასპირანტების, ორდინატორების, ინტერნატების სასწავლო-საწარმოო პროცესებთან დაკავშირებით მიღებული შემოსავლის თანხები;

ო) მოქალაქეთათვის საკუთრების უფლებით კუთვნილი ქონების გაყიდვით მიღებული თანხები, კომერციული საქმიანობით პროდუქციისა და სხვა ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გარდა;

პ) მოქალაქეთა შემოსავალი, მიღებული პირად მეურნეობაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით. ფიზიკური პირის პირადი მეურნეობის არსებობა დასტურდება მმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;

ჟ) ფულადი და ნატურალური ფორმის შემოსავალი, მიღებული ფიზიკური პირების მიერ მემკვიდრეობისა და ნაჩუქრობის შედეგად, გარდა მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებთა, აგრეთვე გამოგონებათა, აღმოჩენათა და სამრეწველო ნიმუშების ავტორების მემკვიდრეების (უფლებამონაცვლეთა) მიერ მიღებული საავტორო გასამრჯელოს თანხებისა;

რ) საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან ნივთობრივი სახით მიღებული საჩუქრების ღირებულება წელიწადში არაუმეტეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ათმაგი ოდენობისა;

ს) კონკურსებსა და შეჯიბრებებში მიღებული პრიზების ღირებულება წელიწადში არაუმეტეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ათმაგი ოდენობისა;

ტ) გლეხური (ფერმერული) მეურნეობის წევრების მიერ ამ მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი;

უ) უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო-სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა სტიპენდიები, რომლებსაც მათ უნიშნავენ სასწავლებლები, აგრეთვე, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ფონდების სახსრებიდან დანიშნული სტიპენდიები;

ფ) ფიზიკური პირების მიერ დაზღვევიდან მიღებული თანხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვევისათვის სადაზღვევო შენატანები შეაქვთ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, თავიანთ ხარჯზე.

2. ფიზიკურ პირთა მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავალი გადასახადით დაბეგვრის პერიოდში მცირდება:

ა) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ოდენობით შემოსავლის მიღებით თითოეულ სრულ თვეზე;

ბ) გადასახადით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის თანხით, რომელიც მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე, გადაირიცხება საქართველოს რესპუბლიკაში, დადგენილი წესით რეგისტრირებულ საქველმოქმედო ფონდებში;

გ) ბავშვების და კმაყოფაზე მყოფთა შენახვის ხარჯების თანხით შემოსავლის მიღების თითოეულ სრულ თვეზე ყოველი ბავშვისა და კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ოდენობით, მაგრამ თვეში არაუმეტეს შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების სამმაგი ოდენობისა.

შემოსავალი მცირდება:

ბავშვებზე 18 წლის ასაკამდე;

დღის სწავლების სტუდენტებზე და მოსწავლეებზე 24 წლის ასაკამდე;

კმაყოფაზე მყოფ სხვა პირებზე, რომელთაც არ აქვთ შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროები.

ეს წესი ვრცელდება იმ წლის ბოლომდე, რომელშიც ბავშვებს უსრულდებათ 18 წელი, სტუდენტებს და მოსწავლეებს — 24 წელი.

შემოსავლის შემცირების ეს წესი ვრცელდება ორივე მეუღლეზე, რომელთა კმაყოფაზე არიან ბავშვები და კმაყოფაზე მყოფი პირები, მათი წერილობითი განცხადებისა და ბავშვების და კმაყოფაზე მყოფი პირების არსებობის დამადასტურებელი საბუთების საფუძველზე.

ფიზიკურ პირთა შემოსავალი მცირდება იმ თვიდან დაწყებული, როდესაც დაიბადა ბავშვი ან წარმოიშვა კმაყოფაზე მყოფი პირი.

კმაყოფაზე მყოფთა რიცხოვნობის შემცირებისას ან წლის განმავლობაში შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროების წარმოქმნისას, მათი შენახვის ხარჯების გამორიცხვა წყდება იმ თვის მომდევნო თვიდან დაწყებული, როცა კმაყოფაზე მყოფთა რიცხვი შემცირდა, ანდა მათ წარმოექმნათ შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროები.

გადასახადით დაბეგვრისას კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვში ჩაითვლება პირი, რომელიც ცხოვრობს ფიზიკური პირის სახსრების ხარჯზე და არა აქვს შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო, იმის მიუხედავად, ეს პირი არის თუ არა ნათესაურ კავშირში.

ფიზიკური პირები, რომელთა შენახვისათვის პენსიის ოდენობის განსაზღვრისას დარიცხულია დანამატი, კმაყოფაზე მყოფად ჩაეთვლება მხოლოდ იმ ფიზიკურ პირს, რომელსაც დაერიცხა ეს დანამატი.

კმაყოფაზე მყოფ პირებად არ ჩაითვლებიან:

პირები (ბავშვების გარდა), რომლებიც ღებულობენ სტიპენდიას, პენსიას და უმუშევრობის გამო დახმარებას; პირები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო კმაყოფაზე, (პროფტექნიკური სასწავლებლების, საბავშვო სახლების და ბავშვთა სახლების აღსაზრდელები);

სპეციალური სკოლების მოსწავლეები და ინტერნატებში მყოფი ბავშვები, რომელთა შენახვაზე თანხებს არ იხდის მეურვე, ასევე სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე მყოფ სკოლებთან არსებულ ინტერნატებში მყოფნი.

ბავშვების შენახვის და კმაყოფაზე მყოფთა ხარჯების თანხებით ფიზიკურ პირთა დასაბეგრი შემოსავლის შემცირება ხდება საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებიდან ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოებიდან წარმოდგენილი ცნობების საფუძველზე.

ბავშვების და კმაყოფაზე მყოფთა არსებობის შესახებ ცნობებს ფიზიკური პირი წარადგენს ძირითად სამუშაო (სამსახური, სწავლა) ადგილზე იანვრის თვის პირველი ნახევრის ხელფასის გაცემამდე, ხოლო ოჯახის წევრთა რიცხვის და კმაყოფაზე მყოფთა რიცხვის ცვლილების შემთხვევაში არაუგვიანეს 20 რიცხვისა იმ თვის მომდევნო თვისა, როცა მოხდა ეს ცვლილება. ფიზიკური პირები, რომლებიც გადასახადით იბეგრებიან საგადასახადო ორგანოების მიერ, ზემოაღნიშნულ ცნობებს წარადგენენ შემოსავლების შესახებ დეკლარაციასთან ერთად.

ბავშვებისა და კმაყოფაზე მყოფთა შენახვის ხარჯების თანხებით ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავლის შემცირებისათვის წარდგენილი მონაცემების სისწორისათვის განმცხადებელი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ფიზიკურ პირებს, რომლებიც შემოსავალს იღებენ საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან შრომითი მოვალეობის შესრულებისათვის, ბავშვებისა და კმაყოფაზე მყოფთა შენახვის ხარჯების თანხებით შემოსავალი უმცირდებათ ამ საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ ყოველთვიურად.

დანარჩენ ფიზიკურ პირებს ბავშვების და კმაყოფაზე მყოფთა შენახვის ხარჯების თანხებით დასაბეგრი შემოსავალი უმცირდებათ საგადასახადო ორგანოების მიერ წლის დამთავრების შემდეგ გადასახადის წლიური თანხის გამოანგარიშებისას იმ თვეების გათვალისწინებით, რომლებშიც იღებდა შემოსავალს.

მუხლი 4. საგადასახადო შეღავათები

1. გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო სადაზვერვო საინფორმაციო სამსახურის ორგანოების რიგითი, აგრეთვე უმცროს, უფროს და უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობა—სამსახურის ადგილას ან სასწავლო და შესამოწმებელ შეკრებაზე ყოფნისას მიღებული ფულადი კმაყოფის, დღიურის და სხვა თანხების მიხედვით;

ბ) ბავშვობიდან ინვალიდები, აგრეთვე მხედველობის მიხედვით პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები;

გ) მეორე მსოფლიო ომისა და სხვა საბრძოლო ოპერაციების მონაწილე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები;

დ) გმირი დედები.

2. გამოანგარიშებული გადასახადის 50 პროცენტის გადახდისაგან თავისუფლდებიან პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინვალიდების გარდა.

მუხლი 5. გადასახადის განაკვეთები

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლიდან საშემოსავლო გადასახადს იხდიან შემდეგი ოდენობით:

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა	გადასახადის ოდენობა
10.000.000 კუპონამდე	დასაბეგრი შემოსავლის მთლიანი ოდენობის 12%.
10.000.001-დან 20.000.000 კუპონამდე	1.200.000 კუპონს + 10.000.000 კუპონს ზემოთ შემოსავლის 15%.
20.000.001-დან 30.000.000 კუპონამდე	2.700.000 კუპონს + 20.000.000 კუპონს ზემოთ შემოსავლის 17%.
30.000.001 და მეტი კუპონი	4.400.000 კუპონს + 30.000.000 კუპონს ზემოთ შემოსავლის 20%.

თავი II

ფიზიკურ პირთა მიერ ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე შრომითი და სხვა მასთან გათანაბრებული მოვალეობის შესრულებისათვის მიღებული შემოსავლის დაბეგვრა

მუხლი 6. დაბეგვრის ობიექტები

კანონის ამ თავის შესაბამისად იბეგრებიან ფიზიკური პირები ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე საწარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან შრომითი და სხვა მასთან გათანაბრებული მოვალეობის შესრულებისათვის კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ყოველგვარი შემოსავლის მიხედვით. ამასთან, ერთობლივ შემოსავალში შეიტანება ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე ამ პირების მიერ შრომითი ვალდებულების შესრულებისათვის, მათ შორის შეთავსებით მუშაობისათვის მიღებული შემოსავალი, აგრეთვე სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოსათვის მიღებული შემოსავალი.

მუხლი 7. გადასახადის გამოანგარიშების წესი

გადასახადი გამოიანგარიშება კალენდარული წლის დამდეგიდან თითოეული თვის გასვლის შემდეგ ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც უნდა შემცირდეს კანონით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ოდენობით და ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული თანხებით. ამასთან, უნდა ჩაითვალოს ადრე დაკავებული გადასახადის თანხები. სამუშაოების სეზონური ხასიათიდან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებში დასაქმებულ ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემცირება ამ კანონის მე-3 მუხლში გათვალისწინებული თანხებით წარმოებს 12 თვეზე გაანგარიშებით.

წლის განმავლობაში სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილის შეცვლის შემთხვევაში ახალ სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე გადასახადი გამოიანგარიშება ძველ და ახალ სამუშაო ადგილზე მიღებული წლიური ერთობლივი შემოსავლიდან. ძველ სამუშაო ადგილზე მიღებული შემოსავალი უნდა დადასტურდეს ცნობით, რომელიც ფიზიკურ პირს ჯეროვანი წესით უნდა მიეცეს ძველ სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე.

ფიზიკური პირის განთავისუფლების შემდეგ, ძველ სამუშაო ადგილზე მიღებული შემოსავლის თანხიდან გადასახადის დაკავება ხდება კალენდარული წლის განმავლობაში ადრე მიღებულ შემოსავალთან ერთად.

ამასთან, შემოსავლის თანხიდან კანონით დადგენილი შრომის თვიური ანაზღაურების მინიმალური ოდენობა და ბავშვებისა და კმაყოფაზე მყოფთა შენახვის ხარჯების გამოსარიცხი ოდენობა გამოიანგარიშება ძველ სამუშაო ადგილზე ფაქტობრივად ნამუშევარ თვეთა რიცხვის მიხედვით.

გაცემული თანხებისა და ამ თანხებიდან დაკავებული გადასახადის თანხების შესახებ ერთი თვის განმავლობაში ეცნობება საგადასახადო ორგანოს საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით.

თუ თანხები გაიცემა მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის მომდევნო წელს, ასეთ შემთხვევაში გადასახადი გამოიანგარიშება ძველ სამუშაო ადგილზე ერთობლივი შემოსავლის თანხიდან. გაცემული შემოსავლების და შემოსავლის გაცემის ადგილას გადახდევინებული გადასახადის თანხების შესახებ ერთი თვის განმავლობაში ეცნობება საგადასახადო ორგანოს თავისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

ასეთ შემთხვევებში ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან კალენდარული წლის განმავლობაში ძველ და ახალ სამუშაო ადგილას მიღებული შემოსავლების შესახებ დეკლარაცია წარუდგინონ საგადასახადო ორგანოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 8. გადასახადის ბიუჯეტში გადარიცხვის წესი

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ყოველი თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ბანკის დაწესებულებებიდან შრომის ანაზღაურებაზე სახსრების მიღებისას, ვალდებულნი არიან გადარიცხონ ბიუჯეტში ფიზიკურ პირებზე გასული თვის შემოსავლის მიხედვით გამოანგარიშებული და დაკავებული გადასახადის თანხები.

საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთაც არ აქვთ ანგარიშები ბანკის დაწესებულებებში, ასევე იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელფასს გასცემენ პროდუქციის რეალიზაციის და მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგებიდან, გადასახადის გამოანგარიშებული თანხები ბანკის დაწესებულებებში შეაქვთ ხელფასის გაცემის მეორე დღეს.

ფიზიკური პირების შემოსავალზე დარიცხული გადასახადი გადაირიცხება ბიუჯეტში უშუალოდ ფიზიკურ პირთა შემოსავლიდან. ფიზიკურ პირთა შემოსავლიდან გადასახადის გადახდა საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე დაუშვებელია.

დაუკავებელ ან არასრულად დაკავებულ გადასახადის თანხებს ფიზიკურ პირებს საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ახდევინებენ დავალიანების თანხის სრულ დაფარვამდე. ამასთან, ფიზიკურ პირთა დავალიანების გადახდა ხდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიების დაცვით.

შემოსავლის მიღების ადგილას ფიზიკური პირებისაგან კუთვნილი გადასახადის გადახდევინების შეუძლებლობის შემთხვევაში საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებული არიან თავიანთი ადგილსამყოფელის მიხედვით საგადასახადო ორგანოს ერთი თვის განმავლობაში აცნობონ დავალიანების თანხის შესახებ, ამ გადასახადის გადახდა ხდება საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო უწყების ჩაბარებით.

ზედმეტად დაკავებული გადასახადის თანხები გადამხდელს ჩაეთვლება მომდევნო გადასახდელებში, ანდა უბრუნდება ფიზიკურ პირს მისი განცხადების საფუძველზე.

თავი III

არაძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე მიღებული შემოსავლის დაბეგვრა

მუხლი 9. დაბეგვრის ობიექტები

კანონის ამ თავის მიხედვით გათვალისწინებული წესით, იბეგრება ფიზიკური პირების ყოველგვარი შემოსავალი, მათ შორის სამეწარმეო საქმიანობით ფიზიკური პირების შემოსავალი, რომლებიც ერთდროულად შემოსავალს იღებენ საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან, როგორც ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილიდან, აგრეთვე მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირები.

მუხლი 10. გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

ამ კანონის მე-9 მუხლში ჩამოთვლილი შემოსავლიდან გადასახადი გამოიანგარიშება და გადაიხდევინება ამ კანონის მე-7 და მე-8 მუხლებში აღნიშნული წესით, ამ მუხლში გათვალისწინებული თავისებურებებით, ხოლო სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი იბეგრება ამ კანონის მე-4 თავში გათვალისწინებული წესით.

ამასთან, ფიზიკურ პირთა შემოსავლიდან არ გამოირიცხება შრომის ანაზღაურების თვიური მინიმალური ოდენობა და ბავშვების შენახვის და კმაყოფაზე მყოფთა ხარჯები.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები და სამეწარმეო საქმიანობაში რეგისტრირებული ფიზიკური პირები, რომლებიც გასცემენ შემოსავალს, ვალდებულნი არიან ყოველწლიურად არაუგვიანეს 1 თებერვლისა საანგარიშო წლის გასვლის შემდეგ, თავიანთი ადგილსამყოფელის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს აცნობონ გასულ წელს ფიზიკურ პირებზე გაცემული შემოსავლისა და დაკავებული გადასახადის თანხების ოდენობის შესახებ ამ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით.

აღნიშნული მონაცემები გადაეგზავნება შემოსავლის მიმღებ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საგადასახადო ინსპექციაში.

თავი IV

სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლის და სხვა შემოსავლის დაბეგვრა

მუხლი 11. დაბეგვრის ობიექტები

კანონის ამ თავში გათვალისწინებული წესით იბეგრება მეწარმედ რეგისტრირებულ პირთა შემოსავალი, მიღებული კალენდარული წლის განმავლობაში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებიდან, აგრეთვე სხვა შემოსავალი, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონის II და III თავებში.

დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას ხარჯების შემადგენლობაში ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ხარჯებთან ერთად შეიტანება ხელშეკრულებით მომუშავე პირებზე გაცემული თანხები.

იმ ფიზიკურ პირთა დაბეგვრისას, რომლებსაც მიმდინარე წელს არა აქვთ ძირითადი სამუშაო ადგილი (სამსახური, სწავლა), მიღებული შემოსავალი მცირდება ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხებით შემოსავლის მიღების თითოეულ თვეზე.

თუ შემოსავალი მიღებულია რამდენიმე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის და სამეწარმეო საქმიანობაში რეგისტრირებული ფიზიკური პირისაგან, ასეთ შემთხვევაში გამორიცხვა ხდება ფიზიკური პირის არჩევით შემოსავლის მიღების ერთ-ერთ ადგილას, ძირითადი სამუშაო ადგილის არსებობისას ფიზიკური პირის შემოსავლიდან ასეთი გამორიცხვები არ წარმოებს.

მიმდინარე წელს მიღებული ზარალი მომდევნო წელს გადასახადით დაბეგვრისას მხედველობაში არ მიიღება.

მუხლი 12. გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1. ამ კანონის მე-11 მუხლში ჩამოთვლილი შემოსავლიდან გადასახადი გამოიანგარიშება:

ა) საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირების მიერ ფიზიკურ პირებზე წლის განმავლობაში თანხების გაცემისას;

ბ) საგადასახადო ორგანოების მიერ ფიზიკური პირების მოსალოდნელი შემოსავლის შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე;

გ) საგადასახადო ორგანოების მიერ ფიზიკური პირის მიმდინარე კალენდარული წლის ფაქტობრივი შემოსავლის შესახებ წარდგენილი დეკლარაციის და სხვა მონაცემების საფუძველზე.

გადასახადით დაბეგვრა ხდება ფიზიკური პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ იგი საქმიანობს სხვა ადგილზე — საქმიანობის ადგილის მიხედვით, მაგრამ ფიზიკური პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე საგადასახადო ორგანოს უნდა ეცნობოს შემოსავლისა და გადასახადის ოდენობის შესახებ.

ფიზიკურ პირთა შემოსავალს საგადასახადო ორგანოები ბეგრავენ:

ფიზიკურ პირთა მიერ წლის განმავლობაში მიღებული ფაქტობრივი შემოსავლის შესახებ დეკლარაციის საფუძველზე;

საგადასახადო ორგანოების მიერ ფიზიკურ პირთა საქმიანობის შემოწმების მასალების საფუძველზე;

გადამხდელებზე გაცემული შემოსავლის შესახებ საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან მიღებული მასალების საფუძველზე.

საგადასახადო ორგანოების მიერ გამოანგარიშებული გადასახადი გადაიხდევინება შემდეგი წესით:

გადამხდელები წლის განმავლობაში ყოველკვარტალურად შეიტანენ გასული წლის შემოსავლიდან გამოანგარიშებული წლიური გადასახადის თანხის 25-25 პროცენტს, ხოლო გადამხდელები, რომლებიც პირველად იბეგრებიან, — მიმდინარე წლის მოსალოდნელი შემოსავლიდან გამოანგარიშებული გადასახადის 25-25 პროცენტს. საავანსო გადასახდელების გადახდის ვადებია 15 მარტი, 15 მაისი, 15 აგვისტო და 15 ნოემბერი. თუ გადამხდელის განცხადების საფუძველზე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება ან მცირდება შემოსავალი, საგადასახადო ორგანო გადასახადს გადაიანგარიშებს არდამდგარი ვადების მიხედვით;

წლის დამთავრების შემდეგ გადასახადი გამოიანგარიშება ერთობლივი წლიური შემოსავლიდან შემოსავლის ყველა წყაროს მიხედვით საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, ასევე მეწარმედ რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებთან შესრულებული ნებისმიერი სამუშაოსათვის გაცემული შემოსავლის ჩათვლით.

2. საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მეწარმედ რეგისტრირებული პირები ფიზიკურ პირებს გადასახადს უკავებენ თანხის გაცემისას. თუ წლის განმავლობაში ერთი და იგივე ფიზიკურ პირზე რამდენჯერმე გაიცა თანხა, გადასახადის გამოანგარიშება ხდება წლის დასაწყისიდან მიღებული საერთო თანხიდან.

ანალოგიურად იბეგრება უმუშევართა დახმარების თანხები, თუ ისინი აღემატება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ოდენობას.

დაკავებული გადასახადის თანხა ბიუჯეტში გადაირიცხება ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესით.

ასეთი შემოსავლის და გადასახადის დაკავებული თანხების შესახებ საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირები და დასაქმების სამსახურის ორგანოები ვალდებულნი არიან საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 თებერვლამდე აცნობონ საგადასახადო ორგანოებს მათი ადგილმდებარეობის მიხედვით. ამ მონაცემებს საგადასახადო ორგანოები გადაუგზავნიან საგადასახადო ორგანოებს ფიზიკურ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თავი V

ინდივიდუალური საწარმოებიდან შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირთა დაბეგვრის თავისებურებანი

მუხლი 13. დაბეგვრის ობიექტი

კანონის ამ თავში აღნიშნული წესით იბეგრება მოქალაქის ან მისი ოჯახის წევრების საერთო (წილობრივი ან ერთობლივი) საკუთრების უფლებით კუთვნილი ინდივიდუალური საწარმოს წლიური შემოსავალი, რომელიც მიიღება ამ საწარმოს ნებისმიერი ნებადართული საქმიანობიდან.

დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას ხარჯების შემადგენლობაში შეიტანება როგორც ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები, ასევე ხელშეკრულებით მომუშავე მოქალაქეებზე გაცემული ხარჯები.

იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური საწარმო ეკუთვნით ოჯახის წევრებს საერთო საკუთრების უფლებით, გადასახადით დაბეგვრის მიზნით ინდივიდუალური საწარმოს დასაბეგრი შემოსავალი იყოფა საწარმოს წევრებზე შრომითი მონაწილეობის მიხედვით.

მუხლი 14. გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1. ინდივიდუალური საწარმოს შემოსავლიდან გადასახადი გამოიანგარიშება საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოთა დეკლარაციების საფუძველზე.

ინდივიდუალური საწარმოები საგადასახადო ორგანოებს დეკლარაციას წარუდგენენ ყოველკვარტალურად შემოსავლის ნაზარდი ჯამით კვარტალის დამთავრებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. დეკლარაციაში ნაჩვენები უნდა იყოს როგორც ინდივიდუალური საწარმოს მთლიანი შემოსავალი, ასევე მის წევრებზე განაწილებული შემოსავალი. გადასახადი გამოიანგარიშება თითოეულ წევრზე ცალ-ცალკე.

საგადასახადო ორგანოების მიერ ზემოაღნიშნული წესით გამოანგარიშებული გადასახადის გადახდა ხდება მათი დარიცხვიდან 10 დღის ვადაში.

2. ინდივიდუალურ საწარმოში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე მოქალაქეებს საშემოსავლო გადასახადს უკავებს ინდივიდუალური საწარმო. მოქალაქის მიერ საქმიანობის შეწყვეტის ან წლის დამთავრების შემდეგ ინდივიდუალური საწარმო მოქალაქეზე გაცემული თანხებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ აცნობებს საგადასახადო ინსპექციას თავისი ადგილმდებარეობის მიხედვით მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

თავი VI

საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე უცხოელი მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების დაბეგვრის თავისებურებანი

მუხლი 15. დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა

1. საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე უცხოელი მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირებ (შემდგომში უცხოელი ფიზიკური პირი) მიერ კალენდარულ წე მიღებული ერთობლივი დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება კანონის II-IV თავებში დადგენილი წესით. ამასთან ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის შემადგენლობაში შეიტანება აგრეთვე:

ა) დანამატის თანხები, საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრებ თან დაკავშირებით;

ბ) გადამხდელის შვილების სკოლაში სწავლების, კვების, ოჯახ წევრების შვებულების და სხვა ანალოგიური მიზნებისათვის გა ბული ხარჯების საკომპენსაციოდ გადახდილი თანხები.

2. უცხოელი ფიზიკური პირის გადასახადით დასაბეგრ ერთობლ შემოსავალში არ შეიტანება:

ა) უცხოელი ფიზიკური პირის დამქირავებლის მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის და საპენსიო უზრუნველყოფის ფონდში დარიცხული თანხები;

ბ) საცხოვრებელი ბინის დაქირავებისა და სამსახურებრივი მი ნებისათვის ავტომობილის შენახვის ხარჯების საკომპენსაციო თანხ

გ) სამივლინებო ხარჯების თანხები.

(დასასრული მე-3 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკის კანონი
ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ

(დასასრული)

გვრის ოდენობა

ზიკური პირის შემოსავალი იბეგრება ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული განაკვეთით.

2. პირადი კომპანიების მფლობელთა შემოსავალი იბეგრება ამ კანონის IV თავში გათვალისწინებული წესითა და პირობებით. ამასთან, გადასახადით დაბეგვრის მიზნით პირადი კომპანიების მფლობელად არ ჩაითვლება უცხოელი ფიზიკური პირი, რომლის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი სამეურნეო ერთეულიდან მიღებული შემოსავალი მუდმივი სამყოფელის (რეგისტრაციის) ქვეყანაში იბეგრება კორპორაციიდან მოგების გადასახადით ან ანალოგიური სახის გადასახადით.

მუხლი 17. გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

უცხოელი ფიზიკური პირები, რომლებიც შემოსავალს ღებულობენ როგორც საქართველოს რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, წარადგენენ დეკლარაციას მიღებულ შემოსავალზე ამ კანონით გათვალისწინებული წესის დაცვით.

ამასთან უცხოელმა ფიზიკურმა პირმა დეკლარაცია მიმდინარე წელს მოსალოდნელი შემოსავლის შესახებ უნდა წარადგინოს მისი საქართველოში ჩამოსვლიდან ერთი თვის განმავლობაში.

უცხოელი ფიზიკური პირის მიერ წლის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკაში საქმიანობის შეწყვეტისას და მის ფარგლებს გარეთ გასვლისას მიმდინარე წელს საქართველოს რესპუბლიკაში ყოფნის პერიოდში ფაქტიურად მიღებული შემოსავლების შესახებ დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნეს გამგზავრებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

2. უცხოელი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი გამოიანგარიშება გადამხდელის საქმიანობის ან საქართველოს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საგადასახადო ინსპექციის მიერ შემოსავლის შესახებ დეკლარაციის საფუძველზე.

გადასახადის გადახდა ხდება საგადასახადო ორგანოს საგადასახადო უწყების საფუძველზე.

მოსალოდნელი შემოსავლის შესახებ დეკლარაციის საფუძველზე გადამხდელს წარედგინება საავანსო გადასახადის თანხა საგადასახადო ვალდებულებების 75 პროცენტის ოდენობით. გადასახადი გადაიანგარიშება ფაქტიურად მიღებული შემოსავლის შესახებ მონაცემების საფუძველზე.

წლიური გადასახადის გადახდა ხდება სამ თანაბარ ნაწილად: 15 ივნისს, 15 აგვისტოს და 15 ნოემბერს. საანგარიშო წლისათვის გადაანგარიშების შედეგად დამატებით დარიცხული გადასახადის გადახდა ხდება საგადასახდელო უწყების გამოწერიდან ერთი თვის ვადაში. მეტად გადახდილი გადასახადის თანხა გადამხდელის სურვილისამებრ უბრუნდება მას ან ჩაითვლება მომავალი გადასახადის ანგარიშში.

3. გადასახადით დაბეგვრის მიზნით უცხოელი ფიზიკური პირის შემოსავალი მცირდება ამ კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

ამასთან, უცხოელმა ფიზიკურმა პირმა, რომელიც დეკლარაციას პირველად წარადგენს საქართველოს რესპუბლიკაში და აქვს უფლება ბავშვების შენახვისა და კმაყოფაზე მყოფთა ხარჯების გამოთვლისა, შეღავათის მისაღებად შემოსავლის შესახებ დეკლარაციას უნდა დაურთოს ბავშვების და კმაყოფაზე მყოფთა დამადასტურებელი საბუთი, საბუთები დადასტურებული უნდა იქნეს იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომელშიც ცხოვრობდა იგი უშუალოდ საქართველოში ჩამოსვლამდე, თუ მისი ბავშვები და კმაყოფაზე მყოფნი ცხოვრობენ საქართველოში, საბუთები უნდა წარმოდგინდეს ამ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

4. გადასახადით არ დაიბეგრებიან შემდეგი კატეგორიის უცხოელი ფიზიკური პირები.

ა) უცხოეთის სახელმწიფო წარმომადგენლობის ხელმძღვანელები, აგრეთვე პერსონალის წევრები, რომლებსაც აქვთ დიპლომატიური და საკონსულო რანგები, მათთან ერთად მცხოვრები მათი ოჯახის წევრები თუ ისინი არ არიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები — ყველა შემოსავლის მიხედვით, გარდა საქართველოს რესპუბლიკაში არსებული წყაროებიდან მიღებული იმ შემოსავლისა, რომელიც არ არის დაკავშირებული დიპლომატიურ და საკონსულო სამსახურთან;

უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრები და მათთან ერთად მცხოვრები მათი ოჯახის წევრები, თუ ისინი არ ითვლებიან საქართველოს მოქალაქეებად ანდა მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში — ყველა შემოსავლის მიხედვით, გარდა საქართველოში არსებული იმ წყაროებიდან მიღებული შემოსავლისა, რომელიც არ არის დაკავშირებული დიპლომატიურ და საკონსულო სამსახურებთან;

გ) წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალის წევრები, რომლებიც არ არიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი ანდა მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში — მათი სამსახურიდან მიღებულ ყველა შემოსავლის მიხედვით;

დ) საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლები — ამ ორგანიზაციების წესდების შესაბამისად.

5. უცხოელი ფიზიკური პირებისთვის გადასახადის გადახდევინება შეიძლება შეწყდეს ან შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით, ასევე შეთანხმების პრინციპით, თუ შესაბამისი უცხოეთის სახელმწიფოს მიერ ასეთივე ზომები ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა მიმართ, რაც ოფიციალურად უნდა დაადასტუროს უცხოეთის ამ სახელმწიფოს ცენტრალურმა საგადასახადო სამსახურმა.

თავი VII

საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირთა შემოსავლის დაბეგვრის თავისებურებანი

მუხლი 18. დაბეგვრის წესი

საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე ფიზიკურ პირთა მიერ საქართველოს რესპუბლიკაში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლიდან (ამ კანონის II-III თავებში აღნიშნული შემოსავლის გარდა) გადასახადის დაკავება ხდება შემოსავლის გაცემის ადგილას 15 პროცენტის ოდენობით თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ურთიერთშეთანხმების პრინციპებით მიღებული გადაწყვეტილებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ასეთი შემოსავლის და დაკავებული გადასახადის თანხის შესახებ შემოსავლის გამცემი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირები აცნობებენ საგადასახადო ინსპექციებს თავიანთი ადგილსამყოფელის მიხედვით.

კანონის II-III თავებში აღნიშნული შემოსავლიდან გადასახადის დაკავება ხდება ამ კანონის II-IV თავებით გათვალისწინებული წესით.

თავი VIII

ფიზიკური პირების მიერ ერთობლივი წლიური შემოსავლის დეკლარირება და ერთობლივი წლიური შემოსავლიდან გადასახადის გამოანგარიშების წესი

მუხლი 19. შემოსავლის შესახებ დეკლარაციის წარდგენის წესი

1. ფიზიკური პირები ფაქტიურად მიღებული შემოსავლისა და გაწეული ხარჯის შესახებ დეკლარაციას წარუდგენენ საგადასახადო ორგანოს [illegible] საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არაუგვიანეს საანგარიშო მომდევნო წლის 15 [illegible]

დეკლარაციის წარდგენისაგან თავისუფლდ[illegible] ები, რომლებიც გადასახადს იხდიან ამ კანონ[illegible] ვების საფუძველზე, აგრეთვე ის ფიზიკური პირები, [illegible] ერთობლივი დასაბეგრი შემოსავალი საანგარიშო წლისათვის არ აღემატება 10 მილიონ კუპონს.

წლის განმავლობაში ამ კანონის მე-4 თავში აღნიშნული შემოსავლის წყაროს წარმოქმნისას ფიზიკური პირები დეკლარაციას წარადგენენ შემოსავლის წყაროს წარმოქმნიდან ერთი თვის შემდეგ 5 დღის ვადაში. დეკლარაციაში მითითებული უნდა იყოს მათ მიერ საქმიანობის პირველ თვეს მიღებული შემოსავლის ოდენობა და წლის ბოლომდე მოსალოდნელი შემოსავლის ოდენობა.

წლის ბოლომდე შემოსავლის წყაროს შეწყვეტის შემთხვევაში, დეკლარაცია წარედგინება შემოსავლის წყაროს შეწყვეტიდან 5 დღის განმავლობაში.

2. ფიზიკური პირები დეკლარაციაში უთითებენ წლის განმავლობაში მათ მიერ მიღებულ ყველა შემოსავალს მათი მიღების წყაროს აღნიშვნით და გადასახადის დარიცხულ და გადახდილ თანხებს.

ამ კანონის II-VI თავების მიხედვით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის შესახებ მონაცემები დეკლარაციაში ცალკე აისახება.

მუხლი 20. გადასახადის გადაანგარიშების წესი

ერთობლივი წლიური დასაბეგრი შემოსავლიდან გადასახადი გამოიანგარიშება ამ კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული განაკვეთით.

გამოანგარიშებულ გადასახადის თანხასა და წლის განმავლობაში გადახდილი გადასახადის თანხას შორის სხვაობას ფიზიკურ პირს გადაახდევინებენ ან დაუბრუნდება საგადასახადო ორგანოს მიერ არა უგვიანეს საანგარიშოს მომდევნო წლის 1 აპრილის, ხოლო წლის განმავლობაში გადაანგარიშების შემთხვევაში — საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის ჩაბარებიდან არა უგვიანეს ორი თვის ვადაში.

თავი IX

ამ კანონის დაცვის უზრუნველყოფა

მუხლი 21. გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირთა მოვალეობანი

1. გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან:

ა) აღრიცხონ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი და ამ შემოსავლის მიღებისთვის გაწეული ხარჯები;

ბ) ამ კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად საგადასახადო ორგანოებს წარუდგინონ მიღებული შემოსავლისა და გაწეული ხარჯების შესახებ დეკლარაცია, დეკლარაციაში ნაჩვენები მონაცემების სისწორის დამადასტურებელი სხვა აუცილებელი საბუთები და მონაცემები.

გ) საწარმოებს [illegible] ორგანიზაციებსა და [illegible] ხადო ორგანოებ[illegible] რომელთაც ფინანს[illegible] დამადასტურებელ[illegible]

დ) დროულად და ს[illegible] ბიუჯეტში გამოანგარიშებული გადასახადის თანხა;

ე) დაუშვან საგადასახადო ორგანოების თანამდებობის პირები შენობაში, რომელიც გამოიყენება შემოსავლის მიღებისათვის;

ვ) შეასრულონ სხვა მოვალეობანი, რომლებიც გათვალისწინებულია საკანონმდებლო აქტებით.

შემოსავლების გამცემი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან:

ფიზიკური პირების შემოსავლიდან გამოიანგარიშონ და ბიუჯეტში შეიტანონ გადასახადის თანხა;

დადგენილ ვადებში წარუდგინონ საგადასახადო ორგანოებს მონაცემები მათ მიერ ფიზიკური პირებისთვის მიცემული თანხებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ;

შეასრულონ საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სხვა მოვალეობანი.

2. ხელშეკრულების და სხვა შეთანხმების დადებისას აკრძალულია მათში ისეთი საგადასახადო პირობების შეტანა, რომლის მიხედვით შემოსავლის გამცემი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირები კისრულობენ ვალდებულებას გაიღონ ხარჯები ფიზიკური პირების მაგიერ გადასახადის გადასახდელად.

მუხლი 22. არასწორად დაკავებული გადასახადის დაკავებისა და დაბრუნების წესი

ფიზიკური პირების გადასახადით დროულად დაუბეგრაობის ან მათი შემოსავლიდან გადასახადის არასწორად გამოანგარიშების შემთხვევაში მათი შემოსავლიდან გადასახადის თანხის გადახდევინება ან დაბრუნება ხდება არასწორად დაკავების აღმოჩენიდან არაუმეტეს ბოლო სამი წლისა.

გადასახადის თანხები, რომლებიც გადაუხდელია გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების შედეგად, გადაიხდევინება გადახდისაგან თავის არიდების მთელი პერიოდისათვის.

შემოსავლების გაცემის ადგილას დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლებიდან დროულად დაუკავებელი, არასწორად დაკავებული ან ბიუჯეტში გადაურიცხავი გადასახადის თანხები და ჯარიმა ამ თანხების 10 პროცენტის ოდენობით, საგადასახადო ორგანოების მიერ უცილობელი წესით გადაიხდევინება ფიზიკურ პირთათვის შემოსავლის გამცემი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან.

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ თავიანთი მუშაკების ნაცვლად გადასახადის თანხების გადახდის ფაქტების დადგენის შემთხვევაში, აღნიშნული თანხები ჩაირთვება ამ პირთა წლიურ დასაბეგრ შემოსავალში.

მუხლი 23. ამ კანონის დარღვევისათვის იურიდიული და ფიზიკური პირების პასუხისმგებლობის ზომები

ამ კანონის დარღვევისათვის იურიდიული და ფიზიკური პირები პასუხს აგებენ იმ წესით და პირობებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 24. საგადასახადო ორგანოების და მათი პასუხისმგებელი პირების მოქმედების გასაჩივრება

საგადასახადო ორგანოების და მათი პასუხისმგებელი პირების მოქმედების გასაჩივრება ხდება საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

ფიქრთ გასართველად

ალადინის ლამპა თუ დიოგენის ფარანი?

ძაღლის წელიწადის ჩანაწერები

* * *

ყველაზე დიდი ცინიკოსი ფილოსოფოსი დიოგენი სერიოზულად ამბობდა (თუ ცინიკოსი ოდესმე შეიძლება იყოს სერიოზული): როცა ვხედავ მეფეებს, ფილოსოფოსებს და ექიმებს, მჯერა, რომ ადამიანი ყველაზე გონიერი არსებაა.

მე მინდა ყველა ქვეყნის და ერის მეფეები, ფილოსოფოსები და ექიმები მსოფლიოში ყველაზე დიდი ცინიკოსის დიოგენის ამ სიტყვების ღირსნი იყვნენ და არა მხოლოდ ძაღლის წელიწადს, არამედ უკუნითი უკუნისამდე.

მაშინ არც ძაღლური ცხოვრებით იცხოვრებს ვინმე და არც „ძაღლური ფილოსოფია" იქნება საჭირო...

იმავე დროს დიოგენი ამბობდა: ტირანს ჯალათი სჯობსო. ორივეს კი ჰუმანიზმის მტრად აცხადებდა. ჯალათი დამნაშავეს კლავს, — განმარტავდა ის, ტირანი კი — უდანაშაულოს. ჭეშმარიტი ფილოსოფოსი არ იცხოვრებს ტირანის სასახლეში, — ამტკიცებდა დიოგენი.

* * *

კინიკოს დიოგენს უკვირდა, როცა მისი დროის ადამიანები ერთმანეთს ფილოსოფიაში კი არ ეჯიბრებოდნენ, არამედ პანღურით ბრილში ჩაგდებაში. დიდ კინიკოსს ეს ველურობა ეგონა. რას იტყოდა დიდი დიოგენი, ის რომ ენახა, რაც XX საუკუნის აფხაზეთსა და სამეგრელოში მოხდა? ისტორიის სახედარზე ამხედრებული თანამედროვე ვირები რომ დაენახა?!

აიღებდა თავის ფილოსოფიურ ფარანს და კვლავ ფილოსოფიური ადამიანის ძებნას დაიწყებდა. ან გამწარებული ჩააქრობდა იმ ფარანს და საერთოდ ხელს აიღებდა ადამიანის ძებნაზე.

დასასრული. დასაწყისი, იხ. „სრ", № 8.

* * *

ამბობენ, რომ ერთხელ ოლიმპიური თამაშებიდან მომავალ დიოგენს ჰკითხეს: ხალხი ბევრი იყო?

— ხალხი ბევრი იყო, მაგრამ ადამიანი ცოტა, — მიუგო დიდმა ცინიკოსმა.

სამწუხაროდ, ასეა დღესაც. ეტყობა ისტორია მეორდება. ხალხი მუდამ ბევრია, მაგრამ ბრბოში მუდამ ცოტაა ადამიანი.

როდესაც დიოგენს ჰკითხეს, სად გინახავს კარგი ადამიანებიო, ფილოსოფოსმა უპასუხა:

— კარგი ადამიანი არსად, მაგრამ კარგი ბავშვები ლაკედემონში ვნახეო.

უცნაურია, მაგრამ, როდესაც დიოგენს ვკითხულობ, ხშირად მამია გურიელი მახსენდება: „გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი"... და დიდი ილია ჭავჭავაძე — „კაცია-ადამიანი?!".

თითქოს ეს ორი, ერთმანეთის გამომრიცხავი მხატვრულ-ფილოსოფიური კონცეფციაა, მაგრამ ისინი დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთიანობის ფილოსოფიური კანონის შუქზე არ გამორიცხავენ ერთმანეთს...

* * *

ერთი თანამედროვე ყველაზე მოკვდავი ცინიკოსი ამტკიცებს: მე უკვდავი ვარო. ჩემი ძმა-ბიჭებიც თქვენს ჯინაზე ერთთავად ყველანი უკვდავები არიანო. ეს სიცოცხლეშივე მკვდარი იდიოტები კლასიკოსებს უტიფრად ეუბნებიან: ეი, თქვენ ცოტა განზე გაიწიეთ, თქვენს კვარცხლბეკზე ჩვენც დაგვაყენეთო. ასეთი ცინიკოსები ბევრია ევროპაში, ამერიკაში, აზიაში.

რას არ გაიგონებ კაცი ძაღლის წელიწადს?!

ამდენს თვითონ დიოგენიც ვერ ბედავდა, თუმცა თავზე ხელაღებული კინიკოს-ცინიკოსი იყო.

ეტყობა თანამედროვე ცინიკოსების თითქმის შიზოიდური, ცინიკური წარმოდგენა საკუთარ თავზე გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და ეს სიდიდე მათი უნიჭობის პირდაპირ პროპორციულია.

* * *

სახელმწიფო მაშინ იღუპება, — ამბობს ერთი ცნობილი ცინიკოსი, — როცა ის ერთმანეთისაგან ვერ არჩევს კარგსა და ცუდ ადამიანებს.

ეს აფორიზმი დღესაც ისევეა ძალაში, როგორც ორი ათასი წლის წინათ.

„ძაღლური ფილოსოფიის" მიერ შექმნილი აფორიზმია, მაგრამ ადამიანებს ეხება.

* * *

„ძაღლური ფილოსოფიის" წარმომადგენლებმაც კი იცოდნენ, რომ სჯობს მრავალ ბრიყვს ბრძენთა მცირე ჯგუფთან ერთად ებრძოლო, ვიდრე მრავალ ბრიყვთან ერთად — ბრძენთა მცირე ჯგუფს.

თანამედროვე ცინიკოსებს სამწუხაროდ, ეს დღესაც არ ესმით.

მათ არ იციან, რომ ბევრსა და ცუდს — ცოტა და კარგი სჯობს.

* * *

დიოგენის დროინდელი იდიოტი სხვა იდიოტი იყო, ის არ იყო იდიოტი დოსტოევსკის ან აკუტაგავას გაგებით.

პირველი ცინიკოს-კინიკოსების დროს იდიოტი ერქვა ძირითადად კერძო პირს, ყველას, ვისაც თანამდებობა არ ეჭირა.

— შეშლილს ნუ მისცემთ — ხმალს და იდიოტს — თანამდებობას, — ამბობდა ფილოსოფოსი ანტისთენე.

ცინიკოს-კინიკოსები უკუაგდებდნენ არა მხოლოდ ტირანიას, არამედ აკრიტიკებდნენ ათენის დემოკრატიასაც. ერთი ფილოსოფოსი ამტკიცებდა, რომ კენჭისყრის საფუძველზე შეიძლება ისეთი დადგენილებაც მივიღოთ, რომ „ვირები ჩაითვალონ მერნებად".

ეს შეუძლებელიაო, უთხრეს ფილოსოფოსს.

— რატომ? — გაიკვირვა ფილოსოფოსმა, — რით სჯობსო სახედარს ზოგიერთი ჯარისკაცი, რომლებიც თქვენ კენჭისყრით მხედართმთავრებად აირჩიეთ?!

მართლა რა არ ხდება ისტორიაში?!

განა იმპერატორმა კალიგულამ თავისი ცხენი არ წამოაყენა რომის სენატში კონსულად ასარჩევად?!

იქნებ ამ ცინიზმში დიდი ჭეშმარიტება იმალება.

ვინ იცის!

* * *

სოკრატე ცინიკოს-კინიკოსთა იდეალი იყო. პლატონი კი ცინიკოსებს არ უყვარდათ. პლატონი დიდი სიამოვნებით ეძახდა დიოგენს „ძაღლს" და „ქოფაკს" და კიდევ „შეშლილ სოკრატეს", დიოგენიც არ რჩებოდა ვალში პლატონს.

— მუცელღმერთი პლატონი მჭერმეტყველი კი არა, ფუჭმეტყველიაო, — ამბობდა დიოგენი და მწარედ დასცინოდა პლატონის იდეებს.

თანამედროვე ცინიკოსებიც ძაღლებივით ჩხუბობენ და უღრენენ ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის ვერც პლატონს იპოვი, ვერც სოკრატეს და ვერც დიოგენს. აი, ეს არის სავალალო.

* * *

ფილოსოფოს დიოგენის ერთმა მდიდარმა მოწაფემ კრატეტმა, როცა ფილოსოფოსი — ცინიკოსი გახდა, თვითონ გაიძარცვა თავისი თავი — მთელი ქონება — 200 ტალანტი, 5 ტონა ვერცხლი დაურიგა ხალხს, თვითონ კი ღარიბული ცხოვრება დაიწყო.

კრატეტი პოეტი — ფილოსოფოსი იყო. მას მიაჩნდა, რომ ქონებაზე უარის თქმით თავისი სული სრულყო.

ძველი ცინიკოსი ადამიანის სრულყოფაზე ფიქრობდა.

თანამედროვე ცინიკოსები კი, პირიქით, ხალხს, მოყვასს ძარცვავენ და „აყაჩაღებენ", დღისით, მზისით, თვითონ მდიდრდებიან.

დიდად განსხვავდებიან ძველი ცინიკოსებისაგან. ასე ესმით მათ ფასეულობათა გადაფასება.

* * *

— არა სიმდიდრე, არამედ სიღარიბე აიძულებს ადამიანებს გაფილოსოფოსდნენ, — ამბობდნენ ძველი ცინიკოსები.

ახალი ცინიკოსები გინდ მდიდრები იყვნენ, გინდ ღარიბები, მაინც არ არიან ფილოსოფოსები.

* * *

ერთმა ცინიკოსმა ფილოსოფოსმა ორი ათას ხუთასი წლის წინ თქვა: „დღეს პატიოსანი და ღირსეული ადამიანები შიმშილით კვდებიან. ხოლო ისინი, ვინც გროშად არ ღირს, ოქროში ბანაობენ".

დღესაც საზოგადოებაში აბსოლუტურად იგივე სურათია.

საოცარია, თურმე არაფერი შეცვლილა კაცთა მოდგმის ცხოვრებაში ბოლო 25 საუკუნის განმავლობაში!

— თუ მდიდარი ხარ, ღმერთსაც უყვარხარ, თუ ღარიბი ხარ — საკუთარი დედაც შეგიძულებსო, — მოთქვამდა ორი ათას ხუთასი წლის წინ ცინიკოსი პოეტი-ფილოსოფოსი.

ისტორია მასზე დიდი ცინიკოსი გამოდგა: დღესაც იმავეს ამბობენ ახალი ცინიკოსები, ოღონდ არა მოთქმით, არამედ მედიტაციური კმაყოფილებით.

* * *

ძველი კინიკოს-ცინიკოსები „ძაღლურ მოთმინებას" მოითხოვდნენ პოეტებისა და ფილოსოფოსებისაგან.

დღეს ადამიანი ბევრ ქვეყანაში ძაღლზე მეტს ითმენს, მაგრამ ვერც გაპოეტდა და ვერც გაფილოსოფოსდა, „საზოგადოებრივ ცხოველად" დარჩა.

* * *

ერთხელ კოლხურ კოშკში დიდოსტატს ინტერვიუ ჩამოვართვი. ბატონმა კონსტანტინემ კოშკის კედელზე გაკრული თავისი ძაღლის დიდ სურათზე მიმითითა და მედიტაციური ტონით მითხრა:

— მე მშურს ძაღლების. მათ ხშირად ადამიანზე უკეთ ძალუძთ ერთგულება.

მე იმედი მაქვს ძაღლის წელიწადს ძაღლები ადამიანისგან ისწავლიან ერთგულებას.

* * *

ერთ დროს დავწერე რომანი „არმაზის მთვარე", რომელიც ქართველ ქრისტიანთა და სპარს მაზდეანთა ბრძოლას მივუძღვენი.

ახალი წლის პირველ დღეებში მახსენდება ზოგიერთი ეპიზოდი.

იაკობ ცურტაველის დროის სპარსეთის მაზდეან მოგვებს ძაღლი აჰურამაზდას საღვთო ცხოველი ეგონათ.

იმედი მაქვს, რომ ძაღლის წელიწადი აჰურამაზდას ძაღლის წელიწადი არ იქნება.

* * *

ზარატუშტრას მაზდეანური ძაღლი მკვდარია ნიცშესთან. დიდ ფილოსოფიურ პოემაში „ასე უბნობდა ზარატუშტრა" პოემის გმირი მკვდარ ძაღლს დაათრევს.

ნუთუ გაცოცხლებულა ზარატუშტრა-ნიცშეს ის მკვდარი ძაღლი ძაღლის წელიწადს.

* * *

ბარბაროსი მაზდეანები მკვდრებს ძაღლებსა და მტაცებელ ფრინველებს მიუგდებდნენ ხოლმე დასაგლეჯად.

ამ თვალსაზრისით გასული წელი აფხაზეთში ძაღლის წელიწადის პროლოგი იყო. ცურტაველის, შუშანიკისა და ვარქენის ეპოქის მაზდეან ბარბაროსებს არც დასიზმრებიათ ის კანიბალიზმი და ვანდალიზმი, რაც არძინბას ველურმა ხროვამ ჩაიდინა წმიდათა წმინდა ქართულ მიწაზე. ხმელეთზე ძაღლები ჭამდნენ ქართველთა გვამებს, ზღვა ძუძუმოჭრილი ქართველი დედებისა და თოთო ბავშვების ცხედრებით იყო სავსე, სვანეთი დღესაც მოფენილია ქართველთა ძვლებითა და ღია საფლავებით...

ერთი ფილოსოფოსისა არ იყოს, ტყუის კალენდარი: ძაღლის წელიწადი საქართველოში შარშან იყო.

* * *

ისტორია „არარუსთველურად" ვითარდებოდა შარშან: კეთილსა სძლია ბოროტმან, მაგრამ არსება მისი გრძელია?!

იმედი გვაქვს, ისტორია ამ ახალ წელს რუსთველურად განვითარდება და კეთილი კვლავ სძლევს ბოროტს.

დღეს კი, სამწუხაროდ, მოვლენები ნიცშეანურად ვითარდება: ბოროტების და სიკეთის მიღმა.

მზე ნათელს ვარდთა და ნეხვთა ერთნაირად მოაფენს...

* * *

ძაღლი, როგორც ზოოლოგები ამტკიცებენ, მოშინაურებული მგელია. თუ ეს ასეა, რა ცბიერი და ვერაგია ადამიანი?! მგელი მოაშინაურა, ძაღლად აქცია და მერე ისევ თავის თვისტომს — მგლებს მიუსია.

ამ ფილოსოფიურმა იგავმა ქართველების წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლა გამახსენა.

ძაღლმა არ იცოდა (ადამიანმა დაავიწყა), რომ ის წარმოშობით მგელია და ამიტომ „ეპატიება" წინაპრების, მგლების დაფლეთა...

მაგრამ იმ ქართველებმა, რომლებიც მამლის თუ მაიმუნის წელიწადს ერთმანეთს ფლეთდნენ, იცოდნენ, რომ ქართველები იყვნენ... ამიტომ მათ არ შეიძლება ეპატიოთ დანაშაული.

* * *

ჩინგიზ აითმატოვის ცნობილ რომანში ჟუან-ჟუანები მონა-მანკურთებს ავიწყებდნენ წარსულს, მშობლებს, წარმოშობას და მათგან დედის მკვლელები გამოჰყავდათ. მსგავსი რამე ხომ არ ხდებოდა მამლისა თუ მაიმუნის წელიწადს საქართველოში?!

მაიმუნის წელიწადს კი გამაიმუნდი, მაგრამ ამ ახალ, ძაღლის წელიწადს მაინც ნუ გაძაღლდები, ადამიანო! დაიბრუნე სახე, რომელიც დაკარგე. დაიბრუნე სახე და არა ნიღაბი!

* * *

რომელიღაც ქრესტომათიაში წამიკითხავს მშიერი მგლისა და მაძღარი ძაღლის იგავი.

ტყეში მშიერი, ფერდებჩამოცვენილი მგელი ნახა ძაღლმა და შეეცოდა.

— წამოდი ჩემს პატრონთან, — უთხრა ძაღლმა, — უერთგულე, გაჭმევს და გასმევს, სულ მაძღარი იქნებიო. დაყაბულდა მშიერი მგელი. სახლს რომ მიუახლოვდნენ, მგელმა ჰკითხა ძაღლს: კისერზე ბალანი რატომ არა გაქვსო. პატრონი ჯაჭვით მაბამსო, — მიუგო ძაღლმა. მგელმა ტყისკენ მოუსვა: მირჩევნია მშიერი და თავისუფალი ვიყო, ვიდრე ჯაჭვით დაბმული და მაძღარი მონაო.

ბევრი ჩემი თანამედროვე იმ ძაღლს მაგონებს, ბევრიც იმ მგელს. განგება ისე არაფერს იძლევა, თუ რამე არ წაგართვა.

* * *

ძაღლის წელიწადი რომ დადგა, ეს ცხადია. ისე უყეფენ ადამიანები ერთმანეთს პურის რიგში, ბაზარზე, სუფრაზე, კაბინეტებში, მეტროში, ქუჩაში, აეროპორტში, პარლამენტში, დეპარტამენტებში, ისე ფლეთენ კბილებით ერთმანეთს, რომელი ძაღლი შეძლებს ამას?!

* * *

ზოგიერთ კაცს დღეს ძაღლი რომ უწოდო, ეს პატიოსანი ბულდოგების, სეტერების, ქოფაკების, მწევრების მეტისმეტი შეურაცხყოფა იქნება.

* * *

ერთხელ დიდოსტატმა მითხრა:

— ჩემზე თვინიერი კაცი დედამიწაზე ორი არ დადიოდა, მაგრამ ძაღლურმა ცხოვრებამ ისე გამამწარა, იმგვარად ვყეფ და ვიკბინები, რომ თვით ძაღლებსაც შურთო...

ეს თქვა და ისეთი სევდიანი თვალებით შემომხედა, მის გამჭოლ მზერას ვერ გავუძელი.

* * *

ერთმა საოცრად ნიჭიერმა ქართველმა პოეტმა დაწერა ლამაზი ლექსი. იმ ლექსში არის ასეთი სტრიქონები:

ქუჩაში მიდის ძაღლი და კაცი;
ადამიანი მაინც მარტოა.

ჩემმა მეგობარმა პოეტმა ევგენი ევტუშენკომ ეს ლექსი რუსულად რომ თარგმნა, ხელნაწერში წამიკითხა და მითხრა: მშვენიერი ლექსია. მე მინდოდა ეს სიტყვები მეთქვა, მაგრამ რეზო ამაშუკელმა დამასწრო.

* * *

ამოუწურავია ვარიაციები ძაღლის თემაზე.

ქართულ პროზაში, ფოლკლორში ცნობილია ძაღლების ღმერთი ალაშქნტრი, ზოგიერთი ვერსიით ლაშქენდერი. არსებობს სხვა ვერსიებიც.

რას არ გამოიგონებს ადამიანი: „ძაღლური ფილოსოფია", „ძაღლური „თეოლოგია", „ძაღლის თანავარსკვლავედი".

იყო ისტორიაში ძაღლების გამაღმერთებელი ქვეყნები, ხალხები და ცივილიზაციები.

ამ ფონზე კაცი დღეს უნებლიეთ ფიქრობ: იქნებ მართალია ნიცშე და წარსულმა მობრუნება იცის?!

* * *

მე მახსენდება ნოდარ დუმბაძის მოლაპარაკე ძაღლი მურადა. ღმერთმა ნუ ქნას, ძაღლის წელიწადს ძაღლები ალაპარაკდნენ და თქვან ის, რასაც ისინი ადამიანებზე ფიქრობენ...

* * *

როგორც ერთმა პოეტმა ბრძანა: წავიდა ჰიუგოს „93" წელი, 1793 წელივით სასტიკი და მრისხანე. არ ვიცი, ჰიუგოს „93" იყო თუ არა 1993 წელი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს იყო სატანური წელიწადი, ალბათ იმიტომ, რომ „ოთხმოცდაცამეტში" მხოლოდ „ოთხმოცია" ღვთაებრივი რიცხვი, ხოლო „13" ეშმაკისაა. ამას ისიც დავუმატოთ, რომ XX საუკუნე, რომელსაც ეკუთვნის 93 წელი, ორი ექსით იწერება. ეს კი საუკუნის ირაციონალური საიდუმლოა, ამოუხსნელი იეროგლიფია.

ამ ფონზე მაინც იმედის თვალით შევყურებთ 1994 წელს — ძაღლის წელიწადს. ძაღლი ყეფს, მაგრამ ისტორიის ქარავანი თავის გზით მიდის. ძაღლის წელიწადს ძაღლი ვერ დაჰყეფს ჩვენს ბედს.

ერის ბედის ვარსკვლავი ამოდის, მერმისი ნათდება!..

ლადო ალფენიძე,
მწერალი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.

Quinta

ფირმა «კვინტა» გთავაზობთ!
ბავშვის მაღალკალორიულ საკვებს „მილუპას",

რომელიც შეიცავს ბავშვის ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელ ყველა ინგრედიენტს: ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს: ა; ბ^{1}; ბ^{6}; ბ^{12}; ც; ე; დ; და მინერალურ მარილებს. საკვების ფაფები რეკომენდირებულია 4-6 თვის ასაკიდან. „მილუპა" აპრობირებული და მოწონებულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბავშვთა დიეტოლოგების მიერ.

ასორტიმენტშია: ბანანის, ეგზოტიკური ხილის (ანანასი, ქოქოსი, ტუია, კივი; ხილის; თაფლიანი და ბრინჯის „მილუპები".

აღნიშნული საკვები შეგიძლიათ შეიძინოთ ხელმისაწვდომ საცალო და საბითუმო ფასებში საფირმო მაღაზია „კვინტაში".

მისამართი: ბელიაშვილის ქ. 117.
საკონტაქტო ტელეფონი: 38-50-92 11-დან 16 საათამდე კვირის გარდა.

Quinta

ორგანიზაცია ყიდის
საგაზეთო ქაღალდს. სიგანე 84 სმ.
რაოდენობა და ფასი შეთანხმებით.
ტელეფონი: 95-06-42, 23-70-65.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის უმაღლესი სკოლა
მეორე, ახალი სპეციალობის მიღების მსურველთა საყურადღებოდ აცხადებს მიღებას

— საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა და ბიზნეს-იურისტის სპეციალობებზე. სწავლების ხანგრძლივობა 10 თვე. სწავლების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში სტუდენტები გაივლიან სტაჟირებას ამერიკასა და გერმანიაში.

ცნობებისათვის: საბურთალო, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული, ოთახი 1103.
ტელეფონი: 30-01-07, 30-40-73.

ინფორმაცია 93

ფუძნდება ალორძინების ფონდი

ქუთაისი. (საქინფორმის კორ. მაკა კილაძე-შერვაშიძე). 15 იანვარს ქუთაისში ფუძნდება ბაგრატის ტაძრისა და მისი კომპლექსის ალორძინების ფონდი — ფონდი ტაძრისა, რომელიც სიმბოლურად მთელი საქართველოს ერთიანობის, ძალისა და სიმტკიცის ნიშანსვეტია.

ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელია სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. სახელმწიფოს მეთაურთან ერთად ქუთაისს ეწვევა და ფონდის დაარსებაში მონაწილეობას მიიღებს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

ამ ფონდის დაარსება ეძღვნება ქართველთა დიდი სახელმწიფოს შექმნის 1000 წლისთავს, ქუთაისის მრავალსაუკუნოვანი იუბილეს, ბაგრატის ტაძრის 1000 წლისთავს და გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქად ქუთაისის გამოცხადების მეათასე წლისთავის აღნიშვნა. იგი 1995 წლის ბოლოსთვისაა გათვალისწინებული.

— იუბილე, — განაცხადა ქუთაისის მერმა თეიმურაზ შაშიაშვილმა, — მთლიანად საქართველოს ზეიმად უნდა იქცეს და იმისთვის, რომ ეს უცილობლად ასე მოხდეს, ჩვენ ზედმიწევნით უნდა გამოვიყენოთ მანამდე დარჩენილი დრო გაჩანაგებული მეურნეობისა და სულიერების ალორძინებისთვის. ამ საშურ საქმეში სწორედ ფონდმა უნდა შეიტანოს დიდი წვლილი.

მწამს, დასძინა მან, ბედობა დღეს ქუთაისში შეკრებილი თითოეული პიროვნება სწორედ ამ ნიშნით წარმართავს თავის შემდგომ საქმიანობას.

ჩვენ ქუთაისში ვიწვევთ ქვეყნის შემოქმედებითი კავშირების, სამეცნიერო ცენტრების ხელმძღვანელებს და წარმომადგენლებს, პარლამენტარებს, დარწმუნებული ვართ, ამ დღეს ქუთაისში ჩამოვა საქართველოს მთავრობის მთელი შემადგენლობა. ვეწვევიან დიდ სამრეწველო საწარმოთა დირექტორები, ქართველი ბიზნესმენები...

სწორედ ამ დღეს — ბედობა დღეს, ძველი სტილით ორ იანვარს — მე როგორც ქალაქის მერი, პერსონალურად ვიწვევ ქუთაისში ყველას, ვისაც ხელეწიფება და სურვილი აქვს თავისი წვლილი გაიღოს ამ კეთილშობილურ საქმეში.

ყველა ეს საქმიანობა ჩაიწერება იმ წიგნში, რომლის შექმნასაც ქუთაისში მწერლები, მეცნიერი ისტორიკოსები, ჟურნალისტები სწორედ ბედობის დღეს დაიწყებენ. წიგნი საიუბილეო დღეებში — 1995 წელს გამოვა.

— გვჯერა, დასძინა თეიმურაზ შაშიაშვილმა, — ამ ისტორიულ პროცესში ჩაებმება ყველა, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლების იდეა.

თეატრი & კინო

14 იანვარი

ქართული თეატრის დღეა

ახალი ნომერი საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის გაზეთისა — „თეატრი და კინო" ქართული თეატრის დღეს — 14 იანვარს დაემთხვა. გაზეთი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და პირველივე გვერდზე გვთავაზობს თეატრის დღისადმი მიძღვნილ მასალებს.

გაზეთის ამ ნომერში [illegible] „შვიდი [illegible] ინსტიტუტის [illegible] გოგა", [illegible] — „სახელოვანი გზის ახალი ეტაპი", კოტე ახაშიძის — „ბოროტს არსებაგრძელი სიკეთე სძლევს", პაატა [illegible]კაშვილის — „კინოფესტივალი „ოქროს არწივი" — ამჯერად საერთაშორისო" და სხვა მასალები. გაზეთი გულისტკივილით აუწყებს მკითხველებს, რომ გარდაიცვალა ქართული თეატრმცოდნეობის პატრიარქი დიმიტრი ჯანელიძე.

ღვაწლი

თავდადებით და ერთგულებით

სიტყვა რეჟისორ ანზორ ქუთათელაძეზე

ჩვენს არეულ დროში, როცა ბევრი წინ გამოვარდნას ცდილობს და გამორჩეული ადგილის დაკავებისათვის არაფერს ერიდება, ანზორ ქუთათელაძე თითქოს განზე გამდგარა და თანდაყოლილი სიმშვიდით შესცქერის ცხოვრების სცენაზე გათამაშებულ ტრაგი-კომიკურ ფარსებს.

მაგრამ ეს ცხოვრებისგან განდგომა როდია. იგი მძიმე ფიქრს შეუპყრია იმის გამო, რომ ქართული თეატრი, რომელსაც მთელი სიცოცხლე შეალია, დღეს არ არის ის, რაც გუშინ იყო. და ჯერ კიდევ არაა ნათელი, ხვალ რა იქნება.

მისმა სიმშვიდემ და ტაქტმა არ უნდა გვაცდუნოს. თეატრალური ცხოვრების მღელვარე ტალღების ცემა არც მას ასცდენია, ხშირად ყოფილა შეურიგებელი კონფლიქტების მომსწრე, საკუთარ თავზეც იწვნია ბევრი თავისი კოლეგისა თუ მოწაფის უმადურობაც, მაგრამ ყველა ამ ჯოჯოხეთიდან ღირსეულად დაუღწევია თავი და თავისი ნამუსი, პროფესიული ღირსება არ შეულახავს.

მიუხედავად ქართული თეატრის ძნელბედობისა, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობს რეჟისორთა ის ძლიერი კოჰორტა, რომელსაც შეუძლია კრიზისის ლაბირინთებში ერთადერთი სწორი გზის პოვნა და სცენური შემოქმედებითი სულის ხსნა. შესაძლოა, ამ კოჰორტაში ა. ქუთათელაძე მთლად პირველ ხაზზე არ იდგეს, მაგრამ მას თავისი ადგილი უჭირავს იმით, რაც გააკეთა და კვლავაც დაიჭერს იმით, რასაც აწი გააკეთებს, რადგან შემოქმედი ადამიანისათვის, მით უმეტეს რეჟისორისათვის, სამოცი წელი სწორედ სიმწიფის პერიოდია.

მე იგი ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტიდან მახსოვს. შეუძლებელია ყურადღება არ მიგექცია მაღალი, გამხდარი, ქერათმიანი და დიდ, ლურჯთვალება ჭაბუკისათვის, რომელსაც ოსკარ უაილდის დორიან გრეის პროფილი ჰქონდა, მაგრამ თავისი ამ პროტოტიპისაგან კეთილშობილებით და ზნეობრივი სისუფთავით განსხვავდებოდა.

სრულიად ჭაბუკი მივიდა იგი მარჯანიშვილის თეატრში, მაშინ როცა სცენას ამშვენებდა დიდ მსახიობთა მთელი თაობა ვერიკო ანჯაფარიძისა და ევასო გოძიაშვილის მეთაურობით, ხოლო რეჟისურას უძღვებოდნენ ვ. ყუშიტაშვილი, ა. ჩხარტიშვილი, ვ. ტაბლიაშვილი, გ. ლორთქიფანიძე. მისი რეჟისორული ცდებიდან მშვენიერი გამოვიდა 1961/62 წლების სეზონში დადგმული ბერძენი დრამატურგის ნ. პერიალისის „ბაფთიანი გოგონა" — იმ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ლირიული და პოეტური სპექტაკლი, რომელშიც გაიბრწყინა სოფიკო ჭიაურელის იშვიათმა ტალანტმა და განსაცვიფრებელმა პლასტიკამ. აქვე მსურს მოვიხსენიო დრამატიზმითა და მკაცრი რეალიზმით აღბეჭდილი რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი" (1964 წ.). მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს უეჭველად ნიჭიერი და იმედისმომცემი რეჟისორი, ტაქტითა და მოკრძალებით გამორჩეული, რომელსაც არასოდეს არ სტოვებდა თავისი დიდი წინამორბედებისადმი დისტანციის გრძნობა, რამდენიმე წლის შემდეგ მარჯანიშვილის თეატრის სათავეში მოექცეოდა. ეს იყო ყველაზე ძნელი პერიოდი (1967-1970) ამ სახელოვანი თეატრის ცხოვრებაში და ამდენად კიდევ უფრო ძნელი ა. ქუთათელაძისათვის. ეს ის დროა, როცა დიდი შინაგანი კონფლიქტების ნიადაგზე, დასის უნიჭიერესმა თაობამ, გიგა ლორთქიფანიძის მეთაურობით, გაბრაზებით გაიჯახუნა კარი და მალე რუსთაველში განუმეორებელი თეატრალური სამყარო შექმნა. ძველმა კორიფეებმა ახალი ტალღის წარმომადგენლებს (ა. ქუთათელაძე — დირექტორი, ლ. მირცხულავა — მთავარი რეჟისორი) მიანდვეს თეატრის ბედი და მიუხედავად დიდი დანაკლისისა, მათი მეცადინეობით ფრიად საგულისხმო სეზონები გაიმართა. ამ საქმეში დიდია ა. ქუთათელაძის დამსახურება, რომელმაც საკმარისი ენერგია და პრაქტიკული გამჭრიახობა გამოავლინა. განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო მისი დიდად ნაყოფიერი მუშაობა სოხუმის ქართულ თეატრში. აქ იგი ოთხი წლის მანძილზე იყო თეატრის მთავარი რეჟისორი და თავისი პრინციპულობით, შემოქმედებითად და მოქალაქეობრივად მტკიცე პოზიციით, ეროვნული სულისკვეთებით, დიდი წვლილი შეიტანა ქართული თეატრალური კულტურის განვითარების საქმეში. ეს ის პერიოდია, როცა სოხუმის ქართული თეატრის დასი და მისი მაყურებელი განუმეორებელ ატმოსფეროს ქმნიდნენ ქალაქში თავიანთი ერთსულოვნებითა და ერთიანობით.

ამ თეატრის სცენაზე დადგმული მისი სპექტაკლებიდან თავისი მონუმენტურობით, ტრაგიკული კოლიზიების სიმძაფრით, ორიგინალური რეჟისორული ხედვითა და ოსტატობით გამოირჩეოდა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე", ჩემი აზრით, ეს სპექტაკლი, მის საუკეთესო ნამუშევრებს შორის, ერთ-ერთი უპირველესია. ყოველ შემთხვევაში, მან ცხადყო რეჟისორის ჭეშმარიტი შესაძლებლობანი, რაც შემდეგ არაერთგზის გამოვლინდა (თუნდაც მაგ. ისეთ მძაფრ და პრინციპულ, პუბლიცისტურ სიმახვილით აღბეჭდილ სპექტაკლში, როგორიც იყო მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მის მიერ 1972 წ. დადგმული გ. ხუხაშვილის „მოსამართლე"). სოხუმის სცენაზე დადგა მან ოთარ ჩხეიძის „ძველი რომანსები", რომელშიც გამოავლინა ხასიათების ფსიქოლოგიურ სიღრმეებში წვდომის უნარი, ნათელი რეჟისორული აზროვნება და უტყუარი ემოციურობა.

შემდეგ კვლავ მარჯანიშვილის თეატრი, რომელსაც თავისი სიცოცხლის ერთი მესამედი შესწირა...

უცნაურია თეატრალური ფორტუნის ნება-სურვილი, რომელიც რეჟისორთა ცხოვრებაში ხშირად ბედისწერის როლს ასრულებს. სწორედ მაშინ, როცა მარჯანიშვილის თეატრიდან წასული „გაბრაზებული თაობა" თავის მშობლიურ კერას დაუბრუნდა და რუსთაველის თეატრი დაშლის საშიშროების წინაშე დადგა, კვლავ ა. ქუთათელაძე აღმოჩნდა ის კაცი, რომელიც ამ დრამატულ მომენტში არ შემდრკალა და უდრტვინველად შეუდგა მძიმე საქმის კეთებას — დასის მინელებული პულსაციის აღდგენას, მისი მოსუსტებული ორგანიზმის ახალი ძალებით გაძლიერებას.

რუსთაველში მოღვაწეობის პერიოდი (10 თეატრალური სეზონი) ძალზე შთამბეჭდავი და ნაყოფიერი იყო ა. ქუთათელაძის შემოქმედებაში. აქ სრულყოფილად გამოვლინდა მისი შემოქმედების თავისებურებანი — რეჟისორული აზროვნების სიცხადე და ლაპიდარობა, მწვავე ზნეობრივი პრობლემების შემცველი დრამატურგიისადმი ლტოლვა. აქ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ რეზო თაბუკაშვილის პიესის („რას იტყვის ხალხი") საფუძველზე შექმნილი ბრწყინვალე სპექტაკლი, სადაც მრავალი ღირსშესანიშნავი სცენური სახე შეიქმნა (პირველთა რიგებში მოვიხსენიებ მსახიობ ლეილა შოთაძეს). ეს სატირული კომედია ახალი თვისებებით და ძალით გამობრწყინდა ა. ქუთათელაძის რეჟისორობით.

ახალგაზრდობის სულისკვეთების, მათი შინაგანი პრობლემების, ზნეობრივი ალტერნატივის სიღრმეები გვაჩვენა ლაშა თაბუკაშვილის პიესის „დარაბებს იქით გაზაფხულია" მიხედვით შექმნილმა სპექტაკლმა. იშვიათია ჩვენი თეატრის რეპერტუარში ისეთი ქართული პიესა, რომელსაც ამდენი ახალგაზრდა მაყურებელი ჰყოლოდეს! რამდენიმე წლის მანძილზე იგი რუსთაველისა და თბილისის ახალგაზრდობის საყვარელი სპექტაკლი იყო. ხოლო მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი ერთბაშად უპოპულარესს მსახიობად იქცა. მე პირადად ძალიან საინტერესო სპექტაკლებად მიმაჩნია ა. ქუთათელაძის მიერ სატირული სიმახვილით და თეატრალური გონებამახვილობით დადგმული ნ. გოგოლის „რევიზორი" და სულიერებით, კდემამოსილებით, პოეტური სევდით აღვსილი ა. ჩეხოვის „თოლია" (ეს სახელგანთქმული პიესა ა. ქუთათელაძემ პირველად დადგა ქართულ სცენაზე). ამ თეატრის სცენაზე ა. ქუთათელაძემ გზა გაუხსნა და სახელი მოუხვეჭა მრავალ შესანიშნავ ახალგაზრდა მსახიობს, რომლებიც შემდგომ ჩვენი აკადემიური თეატრების თვალსაჩინო ძალად იქცნენ. ნიჭის ეს თვისება ადრეც გამოვლინდა და ახლაც ვლინდება მის პედაგოგიურ მოღვაწეობაში თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო სცენაზე.

საქართველოში ვისი ღვაწლი დაფასებულა ბოლომდე: — თავდადებით და ერთგულებით, გამორჩეული ა. ქუთათელაძე იძულებული გახდა რუსთაველის თეატრიდან წამოსულიყო, მაგრამ არ გაბოროტებულა და არც სასოწარკვეთას მისცემია (თავისი დიდი წინამორბედი რეჟისორების ცხოვრება მისთვის, ამ მხრივაც, სამაგალითო იყო. სწორედ იგი იყო ერთ-ერთი იმათთაგანი, ვისი ძალისხმევითაც მოხერხდა უკრაინაში გადახვეწილი დიდი დოდო ალექსიძის დაბრუნება მარჯანიშვილის სახ. თეატრში)...

სანუგეშო ის არის, რომ მისი ღვაწლი არ იქნება დავიწყებული: — მარჯანიშვილის, სოხუმის, რუსთაველის დრამატული თეატრების ისტორია გვერდს ვერ აუვლის მის დამსახურებას ქართული თეატრალური კულტურის წინაშე.

ნოდარ გურაბანიძე.

სიმართლე და მხოლოდ სიმართლე — აი, ჟურნალისტის მოვალეობა

12 იანვარს გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის გამგეობის სხდომა.

შარშანდელმა წელმა, რომელმაც ქართველ ხალხს დიდი ტანჯვა და ვაება მოუტანა, რამდენიმე ჟურნალისტის სიცოცხლეც შეიწირა. შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილი კოლეგების, აგრეთვე აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას.

ინფორმაცია საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ 1993 წელს გაწეული მუშაობის შესახებ გააკეთა ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემ. დღეისათვის ჟურნალისტთა ხაზში 2 ათასამდე წევრს ითვლის. გასაკვირი არაა, რომ ჩვენს გაუსაძლის ყოფაში ბევრ მათგანს უჭირს. ფედერაციის ხელმძღვანელობას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ორგანიზაციის წევრთა სოციალური დაცვა. ამ მიზნით დახარჯულია რამდენიმე მილიონი მანეთი, ჟურნალისტებს მიეცათ შეღავათი საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის დროს. შეიქმნა საერთაშორისო ტელერადიოკომპანია „ივერაზია", დაარსდა ჟურნალი „ჟურნალისტი", დროებით თბილისში განახლდა გაზეთ „აფხაზეთის ხმის" გამოცემა, აფხაზეთიდან ლტოლვილი ყველა ჟურნალისტი დასაქმებულია პროფესიის მიხედვით.

სხდომაზე ჟურნალისტმა სანდრო მამასახლისმა განაცხადა, რომ ქართული პრესა თავის ფუნქციას როგორც ჯერ არს ვერ ასრულებს.

შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ. — ახლა, — თქვა მან, — გაორებაა საზოგადოებაში, ერთს ვფიქრობთ, მეორეს ვაკეთებთ, და, სამწუხაროდ ეს ტენდენცია ჟურნალისტიკასაც მოეძალა. პრესის ფურცლებზე არც თუ იშვიათად იგრძნობა სიმართლის დეფიციტი და ეს, ალბათ, უფრო შინაგანი ცენზორის ბრალია, რომლისგანაც ჯერაც ვერ განვთავისუფლებულვართ, სპიკერმა ჟურნალისტებს მოუწოდა არ უღალატონ თავიანთ რწმენას, წერონ მხოლოდ სიმართლე, რადგანაც, თუ რამე დაღუპავს საქართველოს, ეს არის სწორედ სიმართლის დეფიციტი.

სხდომაზე განიხილეს „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული წინადადებები, ზოგიერთი ცვლილება შეიტანეს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წესდებაში.

ჩვენი ქვეყნის სპორტის მოყვარულები მოუთმენლად ელიან ხოლმე გასული წლის შედეგების მიხედვით საუკეთესო სპორტსმენების, მწვრთნელებისა და მსაჯების გამოვლენას.

უკვე ცნობილია გასული წლის საუკეთესო სპორტსმენების და მწვრთნელების ათეული. კარგი იქნება, თუ ჭიდაობის საქართველოს რესპუბლიკის ფედერაციის სამსაჯო კომისიის მიერ ყოველი წლის დამლევს გამოქვეყნდება 15 საუკეთესო მსაჯის სია ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში.

გასულ წელს ახლადარჩეულმა სამსაჯო კომისიამ, რომელშიც მუშაობს 6 მსაჯი (თავმჯდომარე — ედიშერ მაჩაიძე), შექმნა სამსაჯო კომისია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო 71 მსაჯმა. დამუშავდა აგრეთვე მსაჯების მუშაობის შეფასების სისტემა.

ერთგვარად საუკეთესო მსაჯების გამოსავლინებლად, გარკვეულწილად ხელი შეგვიშალა შეჯიბრების წესების უქონლობამ ქართულ ენაზე, რადგანაც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ, ჭიდაობის წესებში შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები და გამოსცა ახალი წესები ფრანგულ ენაზე, რომელიც ვთარგმნე ქართულად და ახლა საჭიროა მისი გამოცემა.

ყოველივე ამის გამო ძირითადი მსაჯების მუშაობის შეფასება მოხდა შეჯიბრებებში მათი მონაწილეობის რაოდენობის მიხედვით და არა შეფასების სისტემის სრული შესაბამისობით.

მსაჯებისათვის სემინარები ტარდებოდა მხოლოდ შეჯიბრების დაწყების წინ. ჩემი აზრით, საჭიროა სამსაჯო სემინარების სისტემატურად და ორგანიზებულად ჩატარება, აგრეთვე მსაჯების მივლინება საერთაშორისო სემინარებში მონაწილეობის მისაღებად, რომ მოხდეს სამსაჯო კვალიფიკაციის ამაღლება და საერთაშორისო შეჯიბრებებში მათი აქტიური ჩაბმა. არადა ასეთი კანდიდატები გვყავს, რომელთაც შეუძლიათ ღირსეულად იმსაჯონ „ფილა"-ს მიერ ჩატარებულ ნებისმიერი კატეგორიის შეჯიბრში. აუცილებელია მსაჯებისათვის სამივლინებო ხარჯების საკითხის მოგვარება.

ანბანის მიხედვით ვაქვეყნებთ გასული წლის 15 საუკეთესო მსაჯის სიას: თამაზ და ჯემალ ბენდიანიშვილები, თამაზ გოგოლაძე, გურამ გულადიშვილი, ჯუმბერ დავლიანიძე, მურად დოხტურაშვილი, ვლადიმერ ვალიშვილი, ანზორ კვირიკაშვილი, ალექსანდრე მაისურაძე, ედიშერ მაჩაიძე, მარლენ ოსაყმაშვილი, ბიჭიკო პაპაშვილი, ლერი ძაგანია, სამველ ჩობანიანი, ალექსანდრე ჭყონია. კარგი იქნება საუკეთესო მსაჯებს [illegible] თუ არა, სამსაჯო [illegible] მაინც რომ ეძლეოდეთ წასახალისებლად.

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ზოგიერთმა ცნობილმა მსაჯმა (ანზორ გვიმრაძე, შოთა კიკაბიძე, ავთანდილ კუხიანიძე) სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მიიღო ან სრული დატვირთვით ვერ მიიღო მონაწილეობა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ანზორ კვირიკაშვილი,
ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის სამსაჯო კომისიის მდივანი.

საკუთარი ჰესი

საკუთარი მიკროჰესი აქვს ფერმერს სერგო ჩადუნელს ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში. ხუთი კილოვატი სიმძლავრის აგრეგატი ექსპერიმენტის სახით მას მისცეს და დაუმონტაჟეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტრომექანიზაციისა და ავტომატიზაციის მეცხოველეობის ლაბორატორიის თანამშრომლებმა. ახლა, როცა მწვავედ იგრძნობა საწვავის, ელექტროენერგიის დეფიციტი, მიზანშეწონილია, ეგრეთწოდებული, ენერგიის განახლებადი წყაროების — მზის, ჰაერისა და წყლის გამოყენება. ეს მით უფრო არსებითია საქართველოსთვის, რომელშიც უხვად არის პატარ-პატარა მდინარეები, საჭიროა მათი რაც შეიძლება სრულად გამოყენება, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ენერგომომარაგების დონის ამაღლების, მცირე და საოჯახო ფორმების დენით ავტონომიური უზრუნველყოფისთვის.

1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის მერვე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი გაიმართა 1993 წლის 30 დეკემბერს ქ. თბილისის დიდუბის რაიონში. მოგება ხვდა შემდეგი ნომრებისა და სერიის ობლიგაციებს

№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში	№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში	№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში
00472	030X	100000	10144	011X	100000	16529	028X	100000
00631	011X	100000	10360	033X	100000	16649	1-40	75000
00644	002X	100000	10400	037X	100000	16864	1-40	75000
00650	020X	500000	10440	011X	100000	17204	034X	100000
01417	010X	100000	10478	1-40	75000	17500	030X	100000
01648	1-40	50000	10661	030X	100000	17718	005X	100000
01938	026X	100000	10892	032X	250000	17757	007X	250000
02281	1-40	50000	11260	007X	100000	17904	1-40	10000
02419	034X	250000	11423	1-40	50000	18316	1-40	50000
02842	007X	100000	11485	012X	100000	18945	016X	100000
02893	004X	250000	11779	007X	100000	19154	032X	100000
02905	024X	100000	11866	020X	250000	19370	008X	100000
02928	009X	100000	11898	025X	100000	20002	1-40	50000
02957	003X	100000	12334	034X	100000	20028	040X	100000
02980	004X	100000	12355	040X	250000	20112	016X	100000
03339	033X	250000	12377	003X	250000	20426	1-40	50000
03427	019X	250000	12614	002X	250000	20636	1-40	75000
03471	031X	100000	12660	025X	1000000	20737	032X	100000
03924	1-40	75000	12717	035X	100000	21265	031X	100000
04002	031X	250000	13054	026X	75000	21828	017X	100000
04055	014X	250000	13137	017X	100000	21925	022X	100000
04475	020X	100000	13723	1-40	50000	21991	1-40	75000
04662	037X	250000	13951	009X	250000	22700	039X	100000
04770	1-40	75000	14323	012X	100000	23022	014X	100000
04845	034X	500000	14377	024X	100000	23036	015X	50000
05106	002X	100000	14447	1-40	50000	23072	024X	250000
05313	1-40	50000	14776	020X	100000	23329	017X	250000
05946	016X	500000	14816	1-40	75000	23379	027X	250000
06847	1-40	50000	14861	1-40	50000	23518	1-40	10000
06984	030X	100000	15065	005X	250000	23606	034X	75000
07491	010X	100000	15148	028X	500000	23677	029X	100000
07668	1-40	50000	15245	002X	100000	23958	040X	250000
07672	010X	100000	15611	032X	100000	24128	002X	100000
08012	008X	100000	15692	018X	100000	24186	1-40	50000
08546	005X	100000	15924	018X	500000	24377	027X	100000
09365	009X	100000	15926	1-40	50000	24522	1-40	75000
09633	004X	250000	16049	022X	250000			

ცხრილში მოცემულია მოგება 5000 კუპონად ღირებულ ობლიგაციებზე.

თუ მოგება ხვდა 10000 კუპონად ღირებული ობლიგაციის ერთ ნომერს, მასზე მოგება გაიცემა ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად.

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1000000, 500000, 250000, 100000, 75000, 50000, 10000 კუპონი, მასზე შესაბამისად გაიცემა 1010000, 510000, 260000, 110000, 85000, 60000, 20000 კუპონი.

1000 კუპონად ღირებული ობლიგაციის მოგების შემთხვევაში გაიცემა მოგების მეხუთედი ნაწილი.

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1000000, 500000, 250000, 100000, 75000, 50000, 10000 კუპონი — შესაბამისად გაიცემა 200000, 100000, 50000, 20000, 15000, 10000, 2000 კუპონი.

მოგების თანხაში [illegible] მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

* ობლიგაციის ამ სერიის ყველა დანარჩენ 39 ნომერს მოგება ხვდა 10000 კუპონი.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც შემნახველი ბანკის დაწესებულებები აწარმოებენ მოგებების გაცემას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

კომისიის თავმჯდომარე — დიდუბის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე
ლ. ჟოლოკავა.

თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საფინანსო მექანიზმის სრულყოფის, ფასებისა და ფულის მიმოქცევის სამმართველოს მთავარი ეკონომისტი ნ. კირვალიძე.

თავმჯდომარის მოადგილე — დიდუბის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგე
ფ. ბაზნიძე.

პასუხისმგებელი მდივანი — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის დეპოზიტების, ანაბრებისა და ფასიან-ქაღალდების სამმართველოს მთავარი ეკონომისტი ბ. ქურხანიძე.

ხსოვნა

ოთარ დოლიძე



გარდაიცვალა [illegible] ტრავმატოლოგი-[illegible] რესპუბლიკური [illegible] მი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ ანდროს ძე დოლიძე.

იგი დაიბადა 1928 წელს. ახალგაზრდამ აქტიური მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო ომში. იბრძოდა რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, უნგრეთისა და ავსტრიის განთავისუფლებისათვის. 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ორდინატორად. 1961 წლიდან გარდაცვალებამდე იგი ხელმძღვანელობდა საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებას.

იგი ავტორია ერთი მონოგრაფიისა და 25 სამეცნიერო ნაშრომისა თანამედროვე მედიცინის აქტუალურ საკითხებზე.

ბატონი ოთარი თავისი კეთილშობილებითა და გულწრფელობით ხიბლავდა და იზიდავდა ყველას. გაჭირვებულის შეწევნა მისი მოქალაქეობრივი და პროფესიული მოწოდება იყო. ღირსეულმა მამულიშვილმა მრავალ ახალგაზრდას გაუკვალა გზა პროფესიისაკენ.

ოთარ დოლიძის პიროვნული თვისებები, მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა ღირსეული მაგალითი იქნება ახალგაზრდობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; აკად. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო; ტრავმატოლოგთა და ორთოპედთა სამეცნიერო საზოგადოება.

ვახტანგ წიქორიძე

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან საბანკო სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი, შრომის ვეტერანი, სახელმწიფო ორდენებისა და ჯილდოების მრავალგზის კავალერი ვახტანგ ლუკას ძე წიქორიძე.

დაიბადა 1914 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბანში. განვლო ნაყოფიერი შრომის გზა: იყო სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის საქალაქო სამმართველოს უფროსი, საგარეჯოს, ზესტაფონის, ქუთაისისა და ჭიათურის განყოფილებების, ქუთაისის საოლქო კანტორის მმართველი, შემდგომში სახელმწიფო ბანკის და რესპუბლიკური აგროსამრეწველო ბანკის სხვადასხვა სამმართველოების უფროსი.

ვახტანგ წიქორიძე იყო ნიჭიერი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ერუდირებული, პრინციპული, გულისხმიერი ადამიანი, ახალგაზრდობის საუკეთესო აღმზრდელი, კარგი მეგობარი და საამაყო შვილების მამა.

ვახტანგ წიქორიძის ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგებისა და ახლობლების გულებში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული აგროსამრეწველო ბანკის კოლექტივი.

იყიდება
მოთუთიებული თუნუქის ფურცლები ზომით 1×2 მ, სისქე 0,7 მმ, ფასი შეთანხმებით.
☎ 30-35-50 (10-დან — 16 სთ-მდე),
37-47-54 (17-დან — 21 სთ-მდე).

კარიკატურისტის თვალით



მხატვარი გესო ზუბაშვილი.

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 24 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ რეკლამაში „[illegible] დაგიბრუნებთ მხედველობას" შეცდომით არის ნაჩვენები მისამართი. უნდა იკითხებოდეს: თავისუფლების მოედანი, ცეკავშირის შენობა, მეოთხე სართული, ოთახი 488.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების განყოფილება 99-78-24.

[illegible]

[illegible] ტელეფონი — 94-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერი 0498.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА